



ციბიხანი

№ 141 / 17 - 23 ივნისი / 2013

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი



# ბიძოდა

მასობა ხანისუფრაბისთვის

პპ. 22

# შეხვედრები

შეხვედრებითი საპროცედურო გადაწყვეტილება

სამსახურის ფორმის სარჩი.  
ყოვანი შედეგად 19:00

დავა  
დროულად  
წარმო







ლიბერალი

№ 141 / 17-23 ივნისი / 2013

**მთავარი რედაქტორი**

შორენა შავერდაშვილი

**აღმასრულებელი რედაქტორი**

ნინო ბექიშვილი

**რედაქტორები**

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

**ჟურნალისტები:**

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ქვიციანი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

**კონტრიბუტორები:**

ვალერი ძუცივი, მანანა ვარდიაშვილი, ლიკა ლლონტი, გოჩა ალექსანდრია, ანა ფირცხალაშვილი

**რედაქცია:**

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექიშვილი  
კორექტორი  
ნათია ორმოცაძე

**გამომცემლობა:**

ლიბერალი  
შორენა შავერდაშვილი

**გიზნების განვითარების მენეჯერი:**

რუსუდან ბარათაშვილი

**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:**

ირმა მოსულიშვილი

**დისტრიბუტორი:**

გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამომცემის მსურველები

დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

# რედაქტორის სვეტი



„პოლიტიკური ნების არარსებობამ გერმანულ აღქმაში კულტურის, დემოკრატიის იგნორირებამ საშინელ შურისძიებამდე მიგვიყვანა: გერმანული სული ტოტალიტარული სახელმწიფოებრიობის მსხვერპლი გახდა, რომელმაც დააშორა ის არამხოლოდ სამოქალაქო, არამედ სულიერ თავისუფლებასაც. თუ დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური და სოციალური სჯობს განვიხილოთ ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ნაწილად და რომ სჯობს, დავიცვათ ფასეულობითი თავისუფლება, სამოქალაქო თავისუფლების დასაცავად, მაშინ, დიალექტიკის კანონებს თუ გავყვებით, არადემოკრატიული სულის ქედმაღლობას მივყავართ საპირისპირო თეორიამდე, იმ არაადამიანურ პრაქტიკამდე, როცა ხდება ჰუმანიზმის ერთი ელემენტის, პოლიტიკის აბსოლუტიზაცია. ის ხედავს პოლიტიკაში ყოველსომომცველ ტოტალიტარობას, არაფრის ცოდნა არ სურს, გარდა სახელმწიფოს და ძალაუფლების იდეისა და ამ იდეას მსხვერპლად სწირავს ადამიანს, ყოველივე ადამიანურს და ანადგურებს ყოველგვარ თავისუფლებას. ამ პროცესს დაუნდობელი კანონზომიერებით მივყავართ ტრაგიკულ შედეგებამდე“ – თომას მანი, „კულტურა და პოლიტიკა“.

სწორედ ასეთი ტრაგიზმის შეგრძნება მქონდა, როცა მოსამართლეთა კონფერენცია, მოსამართლეთა მთელი კორპუსი იუსტიციის საბჭოს დელეგატებს ირჩევდა. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება და კულტურა, უკვე ბევრი წლის მანძილზე, იმდენად განიმსჭვალა ტოტალიტარული სულით, რომ მან თითქმის გაანადგურა ადამიანის სამოქალაქო და ფასეულობითი ცნობიერება. ჩვენმა მოსამართლეებმაც, ხმათა უმრავლესობით, აირჩიეს არა თავისუფალი, არამედ პოლიტიკური მართლმსაჯულება და ამ შედეგით მოგვიწევს ცხოვრება, სულ მცირე, კიდევ ოთხი წელი. რაც არ უნდა მძიმე საყურებელი იყოს ეს პროცესი, თუ როგორი სასოებით შეჰყურებენ ადამიანები პოლიტიკურ ავტორიტეტებს და ძალაუფლებას („კოტე მოდის, კოტე მოდის...“), და როგორ უმორჩილებენ მათ თავის ნებას, მივხვდი, რომ ეს შედეგი მართლაც გარდაუვალი კანონზომიერებაა. ისევე, როგორც კანონზომიერია, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვიპოვეთ მცირედით – აკადემიური თავისუფლება, ავტონომიურობა ჩვენი უნივერსიტეტებისათვის. ჯერ ვერ მოვიპოვეთ ძალადობისაგან თავისუფალი სამოქალაქო სივრცე, პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალი მედია.

წინა ხელისუფლებას ყველაზე მეტად იმას ვერ ვპატიობ, რომ არაფერი გააკეთა იმისათვის, დაგვეძლია ტოტალიტარული აზროვნება, ტოტალიტარული პოლიტიკური ცნობიერება, ტოტალიტარული მმართველობა, რომ წლების წინ დაგვეწყო დემოკრატიის ანბანის სწავლა.

ამ მემკვიდრეობით, ახალი ხელისუფლების მთავარი ამოცანაც ეს მგონია – დაამკვიდროს პრაქტიკული დემოკრატია, გაჩნდეს გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული პროცესი, ხელისუფლებამ გაუზიაროს პასივისმგებლობა მოქალაქეებს, ჩართოს ისინი საქმეში. ნარატივი, რომ „ჩვენ ჭკვიანები ვართ, თქვენ კი არ ხართ მზად არჩევანისა და პასუხისმგებლობისათვის“ – იქნებ დასრულდეს? იქნებ უნივერსიტეტებს რექტორის არჩევის უფლება თავად ჰქონდეთ და არ მოვასხვიოთ მათ თავს „დაჩქარებული წესით მიღებული“ „გარდამავალი დებულებები“? იქნებ ახლა მაინც დავინყოთ ვარჯიში დემოკრატიაში?

შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი



## სახელმწიფოს მოხიბი ინსახვენსია უნივერსიტეტებში

უმალესი განათლების შესახებ კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შედის. საზოგადოების ნაწილმა აღნიშნული ცვლილებები უნივერსიტეტების ავტონომიურობის შეზღუდვისა და აკადემიური თავისუფლების ხელყოფის მცდელობად შეაფასა, ნაწილისთვის კი ავტონომიის შეზღუდვაზე ჩივილი უტიფარი ცინიზმია, რადგან მათივე აზრით, საუნივერსიტეტო ავტონომიად ვერ ჩაითვლება კლანური პრინციპით და პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით დაკომპლექტებული ჯგუფის შეუზღუდავი ძალაუფლება.

უმალესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია პირველად სოციალურ ქსელში საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა გაავრცელეს. ცვლილებების მიხედვით, რომელიც პარლამენტმა დაჩქარებული წესით უნდა განიხილოს, რექტორის მოვალეობის შესრულებელს, პრემიერ-მინისტრი, განათლების მინისტრის წარდგინებით ნიშნავს.



ლიკა ზაკაშვილი  
03.26

## ბრძოლა მასამე ხელისუფლებისთვის

9 ივნისს, მისამართლეთა კონფერენციაზე, „რედისონ ბლუ ივერისა“ მაღალჭერიან საკონფერენციო დარბაზში გათამაშდა უალრესად დრამატული სცენა, რომელიც თავის თავში მოიცავდა სტრატეგიულ იერიშებს, ტაქტიკურ შეტაკებებს, კულუარულ ომებს, დაპირისპირებებს და შეთანხმებებს. და ამ ზედაპირზე უხილავმა, უფრო ზუსტად კი რთულად შესამჩნევმა პროცესებმა განსაზღვრა ბრძოლის შედეგები, ბრძოლისა – მესამე ხელისუფლებისთვის.

ზურაბ ვარდიაშვილი  
03.22


## დასაქმების ბადაჭიხი ჰობილა

საქართველოში უმუშევრობის დონე წლებია კრიტიკულ ზღვარს გასცდა. ეკონომისტების აზრით, ეს ზღვარი მაშინ ილახება, როდესაც მოსახლეობის 8%-ზე მეტი დაუსაქმებელია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2011 წლის მონაცემებით კი ქვეყნის შრომისუნარიან მოსახლეთა 15,1%-ს სამსახური არ გააჩნია. ამასთან, მოსახლეობის 9,2 % სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. სხვადასხვა კვლევას, მათ შორის CRRC-ის მიერ NDI-სთვის ჩატარებული კვლევის მიხედვით, უმუშევრობის დონე, ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით, კიდევ უფრო მაღალია. ექსპერტები საუბრობენ, რომ უმუშევრობის დათვლის საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს, გარდამავალი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, შეუსაბამოა.

ანი ჭანკოტაძე  
03.42

## "თავმოყვანა ქვეყანა, ხომადის საერთაშორისო ჰინსიკებს ჰახივს საემს, ვადებადებებუა უახს ვეხ იხყვის"


ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზებზე არსებულ ვითარებაზე, 13 მაისსა და 6 ივნისს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ქართული ბატალიონის მდგომარეობაზე, ქართული კონტინგენტის რაოდენობაზე, პოსტ-ISAF-ის მისიაში მონაწილეობასა და NATO-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე „ლიბერალი“ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას ესაუბრა.

 გიორგი ჭეიშვილი  
03.14

### სამხიბი

## ქალები გისოსებს მიღმა



 ზურა ვარდიაშვილი  
03.38

#### გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

#### სავა გამოცემალი:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.


ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

#### გაჭლვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

#### ნომარში:



- 04 **მოკლედ ორი აზრი**
- 06 უნდა განსაზღვროს თუ არა კანონმა რექტორის კვალიფიკაცია? **კომენტარი**
- 08 პარტიზანულად მომზადებული კანონპროექტის შესახებ
- 10 ნახევრად გაკეთებული საქმე **ინტერვიუ**
- 14 „თავმოყვარე ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო პრინციპებს ჰატივს სცემს, ვალდებულებებზე უარს ვერ იტყვის“ **რეგიონი**
- 20 მცირე სასაზღვრო პრობლემის დიდი ეფექტი **მთავარი თემა**
- 22 ბრძოლა მესამე ხელისუფლებისთვის **განათლება**
- 26 სახელმწიფოს მორიგი ინტერვენცია უნივერსიტეტებში **ეკონომიკა**
- 30 რა ხდებ(ო)და „ყაზტრანსგაზ-თბილისში“
- 34 ფასიანი ქალაქების ბაზარი ახალ ეტაპზე გადადის **სამართალი**
- 38 ქალები გისოსებს მიღმა **საზოგადოება**
- 42 დასაქმების გადაუჭრელი პრობლემა
- 48 რას „გვიქადის“ მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო მიწებზე?
- 52 **ციტატები**



## ბაჰოს ბენეჰაღიმა ანსამბლემ იქალებით ბაჰაელობაზე ჰიჩაზა ჩაუბრუნა მიიღო



გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 13 ივნისს საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია მიიღო, რომელიც კიდევ ერთხელ აღიარებს ყველა დევნილის და ლტოლვილის უფლებას დაბრუნდნენ სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რეზოლუციას მხარი 63 ქვეყანამ დაუჭირა 16-ის წინააღმდეგ, 84-მა კი თავი შეიკავა.

ეს უკვე მეექვსე შესასრულებლად არასავალდებულო რეზოლუციაა, რომელსაც გაეროს გენერალური ასამბლეა ყოველწლიურად იღებს 2008 წლის შემდეგ. გასულ წელს ანალოგიურ რეზოლუციას მხარი 60-მა ქვეყანამ დაუჭირა 15-ის წინააღმდეგ, 82-მა კი თავი შეიკავა.

13 ივნისს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამართული დებატების დროს რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეზოლუციის ტექსტი „უკიდურესად პოლიტიზირებულია“ და „არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობებს“ არ ასახავს. მოსკოვი ასევე აცხადებდა, რომ თუ საქართველოს ამ საკითხის გაეროს გენერალური ასამბლეაზე დაყენება სურს, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებსაც უნდა მიეცეთ შანსი, რომ მონაწილეობა მიიღონ ამგვარ გაეროს დისკუსიებში, რის წინააღმდეგაც საქართველო გამოდიოდა.

2012 წლის რეზოლუციის თანახმად, გაეროს გენერალურმა მდივანმა გენერალურ ასამბლეს წარუდგინა ანგარიში „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების სტატუსის შესახებ“. რეზოლუცია მოუწოდებდა გენერალურ მდივანს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების გრაფიკი შემუშავებულიყო. 2013 წლის რეზოლუციაც ანალოგიურ მოწოდებას შეიცავს. „სანამ არ შესრულდება პირობები ორგანიზებული დაბრუნებისთვის უსაფრთხო და ღირსეული გზით და არ შეიქმნება ქონების რესტიტუციის მექანიზმები, დაბრუნების ყოვლისმომცველი გრაფიკის ან საგზაო რუკის თემა ღია უნდა დარჩეს“, – ნათქვამია გენერალური მდივნის ანგარიშში.

## იჩანში საპრეზიდენტო ჩიჩქვები მიიღინაჰობს



ირანში მე-11 საპრეზიდენტო არჩევნები იმართება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება 50 მილიონზე მეტ მოქალაქეს აქვს. ამომრჩეველს ხმის მიცემის საშუალება მთელი ქვეყნის მასშტაბით 60 ათას საარჩევნო უბანზე ეძლევა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი 96 ქვეყანაში საარჩევნო უბანია გახსნილი, მათ შორის საქართველოშიც.

წლევიანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში თავდაპირველად განაცხადი 680-მა კანდიდატმა შეიტანა. თუმცა

საბოლოოდ რვა კანდიდატი დამტკიცდა, რომელთაგან ორმა რამდენიმე დღით ადრე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

„ბიბისის“ ინფორმაციით, წლევიანდელ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი, მაჰმუდ აჰმადინეჟადი. არჩევნებში ექვსი კანდიდატი მონაწილეობს. გამარჯვების რეალურ კანდიდატად კი „რეფორმატორთა“ ლიდერი, ჰასან როუჰანი მოიაზრება, რომელმაც ამომრჩეველთა ყურადღება დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალისთვის აუცილებლობაზე განცხადებით მიიპყრო.

ექსპერტები „კონსერვატორთა“ კანდიდატს, თეირანის მოქმედ მერს, მოჰამედ ბაყირ ყალიბაფისაც უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საკუთარი კანდიდატურა „რეფორმატორთა მოძრაობის“ კანდიდატმა, მოჰამედ რეზა არეფმა მოხსნა.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შემდეგ, ვერც ერთი კანდიდატი 50,1 პროცენტზე მეტს ვერ დააგროვებს, ერთი კვირის განმავლობაში მეორე ტური დაინიშნება.

„ბიბისის“ ინფორმაციით, არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები არ ეხსნებიან. დაიხურა ბევრი გაზეთი, რომელიც „რეფორმატორთა“ პოზიციებს იზიარებდა, შეზღუდულია უცხოურ მედიასა და ინტერნეტზე წვდომა, ზოგიერთი ჟურნალისტი კი დააკავეს.

## იხლოანი: ჩაუბრუნა ბაჰი ჩაუბრუნა ჩაუბრუნა ჩაუბრუნა ჩაუბრუნა ჩაუბრუნა ჩაუბრუნა

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი გეზი პარკში შეკრებილი დემონსტრანტების წარმომადგენლებს შეხვდა.



ადგილობრივი მედიის ცნობით, ერდოღანმა გადაჭარბებული ძალის გამოყენებისთვის პოლიციის დასჯის პირობა დადო. მან ასევე თანხმობა განაცხადა რეფერენდუმის ჩატარებაზე, რომლის გამართვამდეც გეზი პარკის რეკონსტრუქციის პროექტი შეჩერდება.

დემონსტრანტებთან შეხვედრა ერდოღანმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „ბოლო გაფრთხილების“ შემდეგ, მათ ხელისუფლების მოთხოვნების შესრულებაზე უარი თქვეს. თურქეთის ქალაქებში მასობრივი აქციები, რომლის დროსაც პოლიცია თითქმის ყოველდღე არბევდა მომიტინგეებს ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენებით, მათის ბოლოს დაიწყო. ბოლო მონაცემებით, შეტაკებების შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი, დაშავებული – 5 ათასამდე.


**საბერძნეთის მთავრობამ საზოგადოებრივი მაუწყებელი დახურა. რის შემდეგაც მაუწყებლობა შეწყვიტა როგორც საზოგადოებრივმა ტელევიზიამ, ისე რადიომ. მიზეზად**

საბერძნეთის მთავრობამ საზოგადოებრივი მაუწყებელი დახურა. რის შემდეგაც მაუწყებლობა შეწყვიტა როგორც საზოგადოებრივმა ტელევიზიამ, ისე რადიომ. მიზეზად

საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა დასახელდა. საბერძნეთის მთავრობის განცხადებით, მიმდინარე ზაფხულში ახალი, უფრო მომცრო საზოგადოებრივი მაუწყებელი ამოქმედდება. საბერძნეთის სამაუწყებლო კორპორაციის – ERT-ს – ტელე და რადიოარხებმა მუშაობა შეწყვიტა. უმუშევარი დარჩა 2700-მდე თანამშრომელი. ათენის ჩრდილოეთით, საზოგადოებრივი მაუწყებლის შტაბბინასთან, პროტესტის გამოსატყეულად ათასობით ადამიანი შეიკრიბა, მაუწყებლის ჟურნალისტებმა შენობის დატოვებაზე უარი განაცხადეს და პროგრამებზე მუშაობა გააგრძელეს.

„ERT-ში დღეს შექმნილი ვითარება სკანდალურია და ამას ყველა ყოველდღე ხედავდა, თუმცა ვერავინ ბედავდა მისთვის ხელის ხლებას. ეს ყველაფერი დღეს და ახლა მთავრდება. მთავრობამ გადაწყვიტა ERT-ს დახურვა ამჟამინდელი სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად. მაუწყებლობა შეწყდება ამ საღამოს, პროგრამის დასრულების შემდეგ“, – განაცხადა სამშაბათს საბერძნეთის მთავრობის პრესმდივანმა. მისივე თქმით, საბერძნეთს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება ნელინადმი 300 მილიონამდე ევრო უჯდება.

თანამშრომლები ამბობენ, რომ მათთვის მთავრობის ეს ნაბიჯი მოულოდნელი იყო. საბერძნეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების სოლიდარობის ნიშნად, ოთხშაბათს დილას საბერძნეთის სხვა საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლები გაიფიცენ.

საბერძნეთს დიდი ვალეები აქვს და ექვსი წელია, რეცესიიდან ვერ გამოდის. უცხოელი დონორები მოითხოვენ საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას, გადასახადების გაზრდასა და სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შემცირებას, რათა საბერძნეთს მიაწოდონ კრედიტები 240 მილიარდი ევროს მომცველი ფონდიდან. 




## ღიას

### ივანე კილურაძე

პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

რექტორს, სულ მცირე, უნდა ჰქონდეს უმაღლესი აკადემიური ხარისხი, ეს არის მსოფლიოში გათვალისწინებული ნორმა. ადრე, როცა სამეცნიერო ხარისხი იყო, როგორც წესი, თუ კომუნისტური ხელისუფლება ამ ტრადიციას ძალიან უხეშად არ არღვევდა, ამ თანამდებობაზე ყოველთვის მეცნიერებათა დოქტორები ინიშნებოდნენ. მეტიც, არა რიგითი მეცნიერებათა დოქტორი, არამედ პიროვნება, რომელსაც ძალიან მაღალი მეცნიერული და პიროვნული ავტორიტეტი ჰქონდა. კომუნისტები იძულებულნი იყვნენ, რომ ამ ტრადიციისთვის ანგარიში გაეწიათ. გადაავლეთ თვალი ამ რექტორთა სიას: ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, ილია ვეკუა, გიორგი ძონენიძე, ევგენი ხარაძე, ნოდარ ამალღობელი. აი, როგორი ხალხი ინიშნებოდა რექტორად და როგორც წესი, ეს ცნობილი მეცნიერები ძალიან კარგი ორგანიზატორები იყვნენ. ისინი მოქმედ მეცნიერებად რჩებოდნენ იმ პერიოდშიც, როცა ასეთ რთულ მოვალეობას ასრულებდნენ.

ასეთ ფონზე, შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელში იჯდეს კაცი, რომელსაც აკადემიური ხარისხი არ გააჩნია? რა თქმა უნდა, ეს კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. თუ ასე არ იქნება, ყოველთვის იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცუდ გადაწყვეტილებას მიიღებენ. საკმარისია, ერთი უღირსი პიროვნება მოექცეს ხელმძღვანელად, რომ ათეული წლებით ნაშენები დაანგრის. უნივერსიტეტი სასწავლო დაწესებულებაა, რექტორი კი – ამ პროცესის წარმმართველი. რექტორი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა, იგი აკადემიურ სფეროში იღებს გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება სამეურნეო ნაწილს, ამისთვის არსებობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არ არის პროფესორთა თავისუფალი ნების შედეგად არჩეული ორგანო, წევრების უმრავლესობა ჩანერგილები არიან. უმეტესობას არანაირი ავტონომია არ ჰქონდა „ნაციონალების“ ბატონობის პერიოდში. უნივერსიტეტის საქმიანობაში ხელს უშიშროება აფათურებდა, ბოლო პერიოდში ძალიან უხეშად მართავდნენ მას შაშკინი და სეფერთელაძე. ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, ბუნებრივია, დამფუძნებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. დამფუძნებელი კი მთავრობაა და გამამწყვეტი სიტყვაც მთავრობის მეთაურმა უნდა თქვას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაბიჯი გაცილებით დემოკრატიული იქნება, რადგან ის შეთანხმებული იქნება საზოგადოებასთან. 



## უნდა განსაზღვრილი იქნას უნივერსიტეტის რექტორის კვალი

**■ ბუნებრივია, დამფუძნებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. დამფუძნებელი კი მთავრობაა და გამამწყვეტი სიტყვაც მთავრობის მეთაურმა უნდა თქვას. ეს ნაბიჯი გაცილებით დემოკრატიული იქნება, რადგან ის შეთანხმებული იქნება საზოგადოებასთან.**





**არა**

**სერგო რატიანი**  
საპარლამენტო უმცირესობის წევრი

არსებობს უნივერსიტეტების ორი ტრადიცია, ერთი არის ანგლო-საქსური, სადაც აუცილებელი არ არის უნივერსიტეტის პირველი პირი აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანი იყოს. ის უფრო ადმინისტრატორია. ანგლო-საქსური უნივერსიტეტები ძალიან წარმატებული უნივერსიტეტებია. დღეს რეიტინგებში, პირველ ოცდაათეულში სწორედ ეს უნივერსიტეტები ლიდერობენ.

არსებობს მეორე, ასევე, პატივსაცემი და მნიშვნელოვანი ტრადიცია – ეს არის კონტინენტური ტრადიცია, როდესაც რექტორის თანამდებობაზე უმაღლესი აკადემიური ხარისხის მქონე პირი ინიშნება. მე მეტი სენტიმენტები მაქვს კონტინენტურზე, თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენთან შეიძლება არსებობდეს ორივე ტიპის ფორმა, საჯარო სამართლის უმაღლესი იურიდიული პირი, რომელიც კონტინენტურია და, მეორე, ანგლო-საქსური ტიპის უნივერსიტეტები, როგორებიცაა კემბრიჯი, ჰარვარდი, და სხვა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის, რომ ამ სისტემით არჩეული ადამიანები გაყარონ უნივერსიტეტიდან.

ეს ნორმები, გარკვეულწილად, კანონით უნდა იყო დარეგულირებული. თუმცა ერთმა მუხლმა საერთოდ შეუძლებელი გახადა მსჯელობა ამ კანონზე. პრემიერ-მინისტრისა და მისი გუნდის მთელი მოტივაცია სწორედ აქ გამოიჩინა, როდესაც მან პარლამენტისგან მოითხოვა უფლება, თავად აირჩიოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მან უთხრა უნივერსიტეტებს, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თავად უნდა დანიშნოს და არა პროფესორებმა. აი, ეს არის მთავარი პუნქტი, სამსტრუქტურული პუნქტი, მაგრამ პრაქტიკულად, ამ სამმა სტრუქტურულმა გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ არ მოგვეცა საშუალება, სხვა საკითხებზე მსჯელობისთვის. ეს არის, ფაქტობრივად, საბჭოთა – შევარდნაძის ეპოქაში დაბრუნება და დღეს ჩვენ არჩევნის წინაშე ვართ – უნდა ავირჩიოთ საქართველოს განვითარება ნორმალური, დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართულებით, თუ დაებრუნდეთ პრელუდიურ, საბჭოთა სისტემაში. **■**

**ოს თუ ახა ხანონება  
ხვანიფიხასია?**

**■ ჩვენთან შეიძლება არსებობდეს ორივე ტიპის ფორმა, საჯარო სამართლის უმაღლესი იურიდიული პირი, რომელიც კონტინენტურია და მეორე, ანგლო-საქსური ტიპის უნივერსიტეტები, როგორებიცაა კემბრიჯი, ჰარვარდი, და სხვა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის.**

# პახიზანად მომზადები ხანონუხოუხის შესახებ

რამდენიმე თვეში უნდა მომზადეს უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონი. ისმის კითხვა, რა საჭიროა ახლა მოქმედ რედაქციაში დაჩქარებული წესით საკამათო ცვლილებების შეტანა?

ლიკა ლლონტი, ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი



ჩემი აზრით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი პარტინაზული წესით მომზადდა. გაუგებარია, რომელი სამუშაო ჯგუფი იდგამ ცვლილებების უკან და პარლამენტში ინიცირებამდე, განხორციელდა თუ არა ცვლილებების საჯარო განხილვა. პროცესი გაუმჭირვალედ წარიმართა. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის გარეშე მოხდა.

ზოგადად, მინდა აღვნიშნო, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, უმაღლესი განათლების სისტემაში მოვლენები საკმაოდ უცნაურად ვითარდება.

ყველას გვახსოვს, რომ უმაღლესი განათლების რეფორმაზე საუბარი გია დვალის რეფორმების კომისიის შექმნით დაიწყო. ამ კომისიაში შედიან დასავლეთში მოღვაწე წარმატებული მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ძირითადად საქმეს მოწყობენ და სრულიად უსასყიდლოდ შექმნეს პროექტი, რომლის რელევანტურობაზე შეიძლება ვიკამათოთ, თუმცა გასაკვირია, რომ ამ კონცეფციის გამოქვეყნების შემდეგ, რეალური ნაბიჯები განათლების სამინისტროს არ გადაუდგამს. არ მახსენდება სამინისტროს ოფიციალური განცხადება კონცეფციაზე. არ ვიცი, რას ფიქრობენ და გეგმავენ თუ არა სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც ამ კონცეფციას სამოქმედო გეგმად თარგმნის. ეს ჯგუფი და მათ მიერ შექმნილი კონცეფცია თითქოს დაავიწყდათ.

ახლა სამინისტროში გაჩნდა ახალი ჯგუფი, რომელიც ოფიციალურად გაფორმებული არ არის. ამ ჯგუფის წევრებიდან მე მხოლოდ ერთ წევრს, მამუკა ბერიაშვილს ვიცნობ, რომელიც მინისტრის მრჩეველია უმაღლესი განათლების სისტემაში, თუმცა ვერც მისგან მივიღე პასუხი, თუ რატომ შედის ეს ცვლილებები უმაღლესი განათლების კანონში და ვინ განიხილა ის.

ვეთანხმები იდეას, რომ რეფორმა, რომელიც ძალიან წარმატებულად დაიწყო 2005 წელს, თავდაპირველ გზას აცდა. ვეთანხმები იმას, რომ მაშინაც ჩართულობის ხარისხი დაბალი იყო და კანონში უამრავი ცვლილება ვიდაცების კერძო ინტერესების გამო შედიოდა. ეს ხომ არ ამართლებს იმას, რომ იგივე შეცდომები გავიმეორეთ ახლაც? საჭიროება იმისა, რომ გადაიხედოს კანონმდებლობა, ნამდვილად არსებობს, რომელიც ახალ კონცე-

**■ ჩემთვის მნიშვნელოვანია არა კონკრეტული ჩანაწერები კანონში, არამედ ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტისთვის ავტონომიის მინიჭების პოლიტიკური ნება არ არსებობს. ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, გარდამავალ პერიოდში, მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის უფლება აკადემიურ საბჭოს მინიჭებოდა.**

ფციას უნდა დაეყრდნოს, თუმცა ასეთი ფუნდამენტური ცვლილებები ერთ ან ორ კვირაში არ ხდება. ახალი კონცეფციის მომზადებას არსებული სიტუაციის ანალიზი სჭირდება, მისი განხილვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობით უნდა განხორციელდეს.

ამ ცვლილებებით, ავტონომიურობის შეზღუდვის კუთხით, დიდი ნაბიჯი უკან არ გადადგმულა. გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, სიტუაცია მკაფიოდ არც წინა კანონმდებლობაში იყო ჩამოყალიბებული. არსებობდა 21-ე მუხლი, რომელშიც ეწერა, რომ აკადემიური

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დროებითი მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ, თუმცა, ასევე არსებობს მუხლი, რომლის მიხედვით, რეექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობა იღებდა. გარდავალ პერიოდში პრეზიდენტის პრემიერით ჩანაცვლება, ერთი შეხედვით, ტრაგედია არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ახალ მთავრობას წინა მოცემულობის გაუმჯობესება შეეძლო. ჩემთვის მნიშვნელოვანია არა კონკრეტული ჩანაწერები კანონში, არამედ ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტისთვის ავტონომიის მინიჭების პოლიტიკური ნება არ არსებობს. ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, გარდამავალ პერიოდში, მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის უფლება აკადემიურ საბჭოს მინიჭებოდა.

ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, რექტორის სახელფასო სარგო კანონით განისაზღვრება. ჩემი შეფასებით, ეს ანეგლოტური ჩანაწერია. რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასწავლებლების შიდა სახელფასო პოლიტიკა კანონმდებლობით განსაზღვრული, გაუგებარია.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ცვლილებებს ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ რექტორი, რომელიც არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობა, უნდა იყოს უმაღლესი აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანი. თუმცა, არც ამ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვის მომხრე ვარ. გაუგებარია, რატომ დაჭირდათ ამ საკითხის დაჩქარებული წესით გატანა. **■**

**პროგრამა TEMPUS-ი ევროპული თანამეგობრობის პროგრამებიდან ერთ-ერთია, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფა ევროპული თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით.**



# ნახევრად ბაზეთა სექტორი

საქართველოში ბიზნესისა და მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ შრომასთან დაკავშირებული კანონები და თავად შრომის კოდექსი, სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებაა. ჩემი აზრით კი, ისინი კაპიტალისა და შრომის მშვიდობიანი და, რაც მთავარია, – სამართლიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს.

## გოჩა ალექსანდრია, პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე

შრომას უნდა ჰქონდეს საშუალება დისკრიმინაციისა და სასჯელის მუქარის გარეშე აწარმოოს უწყვეტი სოციალური დიალოგი კაპიტალთან, რათა მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადამიანისთვის გარანტირებული იყოს ნაყოფიერი, უსაფრთხო და ღირსეული შრომა, ხელი მოეწოდებოდეს ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე, ეზიარებოდეს კულტურას და სოციალურ სიკეთებს. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს – მათი შექმნა უმთავრესად მაინც ხელისუფლების მიერ ეკონომიკური ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებაზე, კონკურენტულ გარემოში, პროგრესულ საგადასახადო სისტემაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზეა დამოკიდებული.

საქმის კარგად და ხარისხიანად კეთებას სტიმული სჭირდება. სტიმული ძველ რომში წამახულ ჯოხს ეწოდებოდა, რომელსაც საზიდარებულ სახედარს ფერდში დროგამოშვებით უთავაზებდნენ-ხოლმე, რომ მას ფეხი აეჩქარებინა. ძველ ეგვიპტეში კი ცუდად მომუშავე მოწივების დასჯის (იმავდროულად წახალისების) ერთ-ერთი ფორმა მათი საქმის გარეშე დატოვება იყო.

ცივილიზებულ სამყაროში სანარმოებსა და კომპანიებში, მშრომელი ადამიანის მოტივირების მრავალგვარი საშუალება არსებობს, მაგრამ მათ შორის ტკივილის მიყენების მუქარას დიდი ხანია ყავლი გაუვიდა.

საქართველოში, ისე როგორც ჩვენი რეგიონის მრავალ განვითარებად ქვეყანაში, დამსაქმებელთა მნიშვნელოვან ნაწილს მშრომელის სტიმულირება ლამის ამ სიტყვის პირველწყაროს მნიშვნელობით ესმის. ამის დამადასტურებელია ქვეყანაში ვადიანი (მათ შორის მოკლევადიანი) შრომითი ხელშეკრულებების, ხშირ შემთხვევაში, თითქმის საყოველთაო გამოყენება.

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ შრომის კოდექსიდან აუცილებლად გამოირიცხებოდა დამსაქმებლის მიერ სამსახურიდან მიზეზის განმარტების გა-

რეშე დასაქმებულის დათხოვნის უფლება, ქართულმა ბიზნეს-ელიტამ ძირითადი ყურადღება ვადიანი ხელშეკრულებების შეუზღუდავად გამოყენების უფლების განმტკიცება-მოპოვებისკენ მიმართა. მიზანი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ქართულმა თუ საქართველოში მოქმედმა უცხოურმა ბიზნესელიტამ მთავრობაზე ზეწოლის და ღია თუ ფარული ეკონომიკური მუქარის ყველა საშუალებას მიმართა. ლობისტური ჯგუფების გავლენა ხელისუფლების უმაღლეს დონეებზეც მისწვდა. მათმა მცდელობამ ლამის გადაწონა წლების განმავლობაში საქართველოს პროფკავშირების თანამშრომლობით მიღწეული საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი რეკომენდაციები. მთავრობამ კინალამ ირწმუნა ბიზნესელიტის მიერ დახატული აპოკალიპსის რეალურობა.

თუმცა ქართულმა პროფკავშირებმა, მწირი შესაძლებლობების კვალობაზე მოახერხა პროცესის ისე წარმართვა, რომ სტარტზე მშრომელებისთვის მოპოვებული შესაძლებლობები სრულად თუ ვერა, მნიშვნელოვანილად შეინარჩუნა კოდექსში.

რას მიაღწია ბიზნესმა? კომპანიებს ძირითადად მოუწევთ ადამიანების გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებებით (არანაკლებ ერთი წლისა) დასაქმება, ხოლო 2,5 წლის განმავლობაში, რამდენჯერმე ასეთი სახის მიმდევრობით დასაქმების შემდეგ, უკვე სტაჟიან და გამოცდილ ადამიანებს გაუფორმებენ განუსაზღვრელ ვადიან (ე.წ. მუდმივ) ხელშეკრულებებს. გარკვეულ შემთხვევებში ბიზნესს შეეძლება დასაქმებულთან გააფორმოს მოკლევადიანი (სამთვიანი, ერთთვიანი, თუნდაც ერთკვირიანი) შრომითი ხელშეკრულება თუ ამას დაასაბუთებს ობიექტური გარემოებებით, როგორცაა სამუშაოს სეზონურობა, კონკრეტული ვადის პროექტი ჩაბმა, დეკრეტულ შევებულებაში მყოფი ქალბატონის დროებით ჩანაცვლება და ა.შ.



## TWO NEW DESTINATIONS IN IRAQ VIA FLYGEORGIA!

FlyGeorgia Airline announces the launch of two new destinations in Iraq. FlyGeorgia will fly twice a week to Baghdad and Najaf from Tbilisi International Airport.

FlyGeorgia Airlines started flights twice a week to the capital city of Baghdad from 30th of May, 2013.

FlyGeorgia will soon be operating to the city of Najaf as well...

In less than a year, FlyGeorgia has accomplished creating routes to several destinations within three continents. Currently, the airline has seven more ambitious objectives planned for the near future. One of the objectives is to add additional routes and destinations within the Asian market during 2013. This will give passengers a wider array of choices when it comes to the selection of travel destinations. It is also FlyGeorgia's goal to make sure their customers receive the best services and are taken care of from the moment they decide to travel with FlyGeorgia, to the moment they return home.

Looking at 2013 and beyond, FlyGeorgia's expansion plans include adding more aircrafts to

their current fleet, which will naturally aid in the airline's objective to increase services for travelers and move forward with plans of creating more routes and destinations. Their current fleet is comprised of four Airbus aircrafts, and they are awaiting the arrival of three new aircraft expected to start operating by the end of the year.

FlyGeorgia is a Georgian airline that aims to connect Georgia with the world to support the development of tourism, economic growth, and popularization of the country. FlyGeorgia is a privately owned airline and the only airline with an Airbus fleet flying out of Tbilisi International airport. In less than six months, they have established routes flying to ten destinations in three continents. FlyGeorgia is a full service carrier representing the country of Georgia, which has a long and rich history for tourist to explore and enjoy. FlyGeorgia is changing the perception in the full service aviation market with its luxury at a low cost value proposition.

For more information, please contact Tanaz Hosseinpour, Director of Media Relations, at [thp@flygeorgia.com](mailto:thp@flygeorgia.com)

**Tel.: +(995) 32 2 71 00 00**  
**[www.flygeorgia.com](http://www.flygeorgia.com)**

კიდევ ერთი სფერო, სადაც მოკლევადიან შრომით ურთიერთობებს მიეცა (თუ დარჩა) ფართო გასაქანი, ახალი/დამწყები ბიზნესი (ე.წ. start-up). მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში დამწყები კომპანიებისთვის ხელშემწყობ ფართოდ გავრცელებულ მექანიზმებს შორის (როგორცაა საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის საკანონმდებლო შეღავათები) თითქმის არ ფიგურირებს შრომითი უფლებების შემცირება ან ნაკლებხელსაყრელი პირობების შექმნა, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ამ სახის კომპანიები 48-თვიანი ერთგვარი სამუშაო პერიოდით უზრუნველყოს. კანონი მათ აღნიშნულ ვადაში 3 თვეზე არანაკლები ვადის ნებისმიერი ხანგრძლივობის და რაოდენობის ხელშეკრულებების გაფორმების საშუალებას აძლევს. გასათვალისწინებელია, რომ დამსაქმებელს ნებისმიერ შემთხვევაში რჩება ექვსთვიანი საგამოცდო ვადით მშრომელის დასაქმების უფლება. ეს კი ისეთი ვადაა, რომლის ნებისმიერ დროს შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ კონტრაქტის არგაფორმება დამსაქმებლისათვის რაიმე სახის საკანონმდებლო და ფინანსურ ვალდებულებას არ წარმოშობს.

ამის შემდეგ ახლადცვლილებაშეტანილ კოდექსში (რომლის ოფიციალური ვერსია ჯერ არ გამოქვეყნებულა) იწყება დიდი ბუნდოვანება. ვგულისხმობ გაურკვევლობას, თუ როდის მიიღებს ახლადშექმნილ კომპანიაში 48 თვის განმავლობაში მომუშავე ადამიანის შრომითი ურთიერთობა განუსაზღვრელებადიან ხასიათს. ან რას ნიშნავს გარდამავალ დებულებებში ნახსენები განსხვავება ერთი და იმავე დამსაქმებელთან ხუთ წლამდე და ხუთ წელზე მეტი სტაჟის მქონე მშრომელებს შორის, როცა საქმე ეხება მათი შრომის ხელშეკრულებების უვადოდ გაგრძელების შესაძლებლობას?

ასევე, კითხვებს იწვევს პროფესიებსა და სანარმოებს შორის სამუშაო დროის მიხედვით განსხვავებების შემოტანა. იგულისხმება, შრომის კოდექსის მე-14 მუხლით გარკვეულ კომპანიებში დასაქმებულთათვის 40-საათიანი, ხოლო სხვა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის კომპანიებში მომუშავეთათვის 48-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება. ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, დასაქმებულთა ნაწილს ეუბნებიან, რომ მათ სამუშაოდ პროფესიის არჩევისას შეცდომა დაუშვეს და ახლა ამის გამო, სასჯელ-

ლის სახით, უფრო ხანგრძლივად მუშაობა მოუწევთ. თან არ დაგვავინწყდეს, რომ მათთვის ზეგანაკვეთური ანაზღაურების გამომთვლელი მრიცხველი ასევე 48 საათის შემდეგ ჩაირთვება. თუმცა დღემდე ვერაზინ ლოგიკურად ვერ უპასუხა პროფკავშირების მიერ დასმულ შეკითხვას: კი მაგრამ, რა კავშირია სპეციფიკურ სამუშაო რეჟიმსა და ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას შორის? არადა ეს უკანასკნელი ხომ ეკონომიკურზე უფრო მეტად სოციალური ნორმატივია და სამართლიანობას, ადამიანის ჯანმრთელობას, უსაფრთხო შრომას და სოციალურ-კულტურულ გარემოებებს უკავშირდება.

მოკლედ მთავრობის მცდელობას შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანით აღმოეფხვრა სამუშაო ადგილებზე სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლებლობა, ასევე გაუმჯობესებინა დასაქმებულთა შრომის სტანდარტები, წახალისებინა კოლექტიური მოლაპარაკებები და ხელი შეეწყოს ევროპული სახის სოციალური დიალოგისათვის, ელიტურმა ბიზნესმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია. შედეგიც შესაბამისად სანახევროა.

ჩვენ მოგვინებს მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა მაგნე და მძიმე პირობებში მომუშავეთა და ღამის საათებში დასაქმებულთა შრომის პირობების ევროპული სოციალური ქარტიის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ასევე, შრომის უსაფრთხოებისა და უმუშევრობის დაზღვევის შესახებ კანონების მიღება, დეკრეტული შევებულებების ანაზღაურების წესის სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით შეცვლა და ა.შ.

ასევე პირველადი რიგის ამოცანებს შორისაა 2005-06 წწ-ში ბენდუქიძის მიერ განდგურებული შრომის ბაზრის ინსტიტუტების პროგრესული სახით და საუკეთესო

ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით აღდგენა. რასაკვირველია, შრომის კოდექსის რეფორმა მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის შესაქმნელად. ამ ტრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა მას ისევ და ისევ დასავლური კულტურის უმნიშვნელოვანესი მონაბოვარი – მთავრობას, ბიზნესსა და პროფკავშირებს შორის სოციალური დიალოგი გამოეყენებინა. **■**

**■ მთავრობის მცდელობას შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანით აღმოეფხვრა სამუშაო ადგილებზე სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლებლობა, ასევე გაუმჯობესებინა დასაქმებულთა შრომის სტანდარტები, წახალისებინა კოლექტიური მოლაპარაკებები და ხელი შეეწყოს ევროპული სახის სოციალური დიალოგისათვის, ელიტურმა ბიზნესმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია. შედეგიც შესაბამისად სანახევროა.**



A promotional poster for the TV show 'Sherlock'. It features the two main characters, Sherlock Holmes and John Watson, walking towards the viewer in a dark, foggy street. Sherlock is on the left, wearing a long dark coat and a blue scarf. John is on the right, wearing a dark jacket over a plaid shirt and dark trousers. The background is a misty, grey street with faint, ghostly images of the characters' faces. The title 'SHERLOCK' is written in large, white, distressed letters across the middle.

# SHERLOCK

3300 | 0000 | 0000  
22:00 0000





ფოტო: ბიორჩი ბოლუა

## "თავმოყვანია ქვეყანა, რომლის საერთაშორისო პოზიციებს უახლოვდება, ვადებულობაზე უნდა ვუყვიროს"

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრ  
**ირაკლი ალასანიასთან**

ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზებზე არსებულ ვითარებაზე, 13 მაისსა და 6 ივნისს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ქართული ბატალიონის მდგომარეობაზე, ქართული კონტინგენტის როდენობაზე, პოსტ-ISAF-ის მისიაში მონაწილეობასა და NATO-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე „ლიბერალი“ საქართველოს თავდაცვის მინისტრ, ირაკლი ალასანიას ესაუბრა.

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლები ავღანეთში იმყოფებიან, სადაც თქვენი დავალებით პელმანდის პროვინციაში მდებარე ქართული ბაზები მოინახულეს. რა მდგომარეობაა ქართულ ბაზებზე?**

გაერთიანებული შტაბის ეს ჯგუფი ზუსტად იმიტომ გავუშვით ავღანეთში, რომ კონკრეტულად 42-ე ბაზაზე შეამოწმონ, როგორ მიმდინარეობს იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც NATO-ს სარდლობამ ჩვენი სამხედროების რეკომენდაციაზე დაყრდნობით აიღო. გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლები ამოწმებენ, თუ რა საინჟინრო და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი ჩვენი ძალების და კონკრეტულად 42-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ეს შეთანხმება საბოლოოდ მას შემდეგ შედგა, რაც ავღანეთში გენერალ დანფორდსა და გენერალ მილერს შეეხვდა. მიმდინარე ოპერაციები მათი პასუხისმგებლობის არეალს წარმოადგენს და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ის პროფესიული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც მათ ჩვენი 42-ე ბატალიონის მეთაურმა წარუდგინა, მთლიანად არის მიღებული ამხელა სამხედრო გამოცდილების ქვეყნების გენერალიტეტის მიერ.

მონიტორინგისთვის ავღანეთში მივლენილი ჯგუფი ყოველდღიურად მანვდის ინფორმაციას. დღევანდელი მონაცემებით, სამუშაოების 70% პრაქტიკულად შესრულებულია. ბოლო ერთ თვეში გაჩენილი მომატებული საფრთხეების გამო წინნაწეული ორი ბაზა დაიხურა. ეს ჯგუფი თბილისში ორ დღეში დაბრუნდება და საბოლოო შეფასებებსაც ამ დროისთვის გააკეთებთ.

**მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა ავღანეთში სამოქმედო არეალი სრულად 15 აპრილს გადაიბარა. 13 მაისს პირველი ტერაქტი განხორციელდა, 24 დღეში კი მას მეორე მოჰყვა – რა ვითარებაა ახლა კონკრეტულად 42-ე ბატალიონში?**

ბატალიონის მეთაურისა და პირადი შემადგენლობისთვის ეს

**■ ბატალიონის მეთაურისა და პირადი შემადგენლობისთვის ეს უმძიმესი დარტყმა იყო. როდესაც შენი თანამებრძოლი, შენი მეგობარი ბრძოლის ველზე შენ გვერდით იღუპება, ამას ვერაფერი შეამსუბუქებს, მაგრამ გამაოცა იმ შინაგანმა სიმტკიცემ, რაც 42-ე ბატალიონის შემადგენლობაში დავინახე.**

უმძიმესი დარტყმა იყო. როდესაც შენი თანამებრძოლი, შენი მეგობარი ბრძოლის ველზე შენ გვერდით იღუპება, ამას ვერაფერი შეამსუბუქებს, მაგრამ გამაოცა იმ შინაგანმა სიმტკიცემ, რაც 42-ე ბატალიონის შემადგენლობაში დავინახე. 13 მაისს მომხდარი ტერაქტისას დაჭრილი სამხედროები გერმანიაში მოვინახულე. მას შემდეგ, რაც ახალი აფეთქების შესახებ მივიღე ინფორმაცია, 6 ივნისის ტერაქტის შედეგად დაშავებული ქართველი ბიჭები მოვინახულე. არც ერთ მათგანში იოტისოდენა ბზარიც კი არ

გაჩენილა. ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი თითოეული მოქალაქისთვის მისაბაძია.

მეთაური ძალიან განიცდის იმ ფაქტს, რომ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ძალებს ასეთი დანაკლისი აქვს. ყველა სტანდარტული ოპერატიული პროცედურა, რაც მას მოსამზადებელ პერიოდსა და ტერაქტის შემდეგ უნდა გაეკეთებინა ზედმინვენით სწორად, კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად იყო შესრულებული. სწორედ მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით მოხდა ის ცვლილებები, რასაც NATO ამ ოპერატიულ ზონაში ანხორციელებს.

ჩვენ ვართ ომში, ავღანეთის ყველაზე რთულ რეგიონში და არავის აქვს 100%-იანი გარანტია იმისა, რომ თავდასხმები არ განმეორდება.

სამხედრო პროფესიის არჩევნისას ადამიანს სრულად გაქვს გააზრებული ის რისკები, რაც მას ახლავს თან. შეამაყება, რომ ასეთი შეიარაღებული ძალები გვყავს, ასეთი შემადგენლობა და კონტინგენტია ავღანეთში, რომლებიც ყველა საერთაშორისო პარტნიორისთვის რჩეულები არიან. ვიმედოვნებ, რომ მიღებული ზომები მომავალში ასეთი ტიპის თავდასხმებისგან დაგვიცავს.

**15 აპრილიდან დღემდე მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა 10 სამხედრო დაკარგა, 36 კი დაიჭრა. რა ზომებია მიღებული/იქნება მიღებული იმ ფსიქოლოგიური სტერსის მოსახსნელად, რომელიც, როგორც ნესი ასეთ დროს იჩენს-ხოლმე თავს?**

მეომრების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია უმნიშვნელოვანესი თემაა, რომელიც ჩვენთან უყურადღებოდაა მიშვებული. ეს პრობლემაა. როდესაც ჯარისკაცები ასეთი



საომარი მოქმედებებიდან ბრუნდებიან, მათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია სჭირდებათ. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ამ კუთხით საქმე მოგვარებული გვაქვს.

პოსტტრავმატული სტრესის მეტ-ნაკლებად გასანიტრალეზად სამედიცინო დაწესებულებაში ფსიქოლოგები, ადგილზე კი მამაო და კაპელანი არიან ჩართულები. ეს არ არის საკმარისი. სერიოზულად ვზრუნავთ იმისთვის, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ სამხედროებს მინიმუმ 1-თვიანი რეაბილიტაციის საშუალება მივცეთ – გავუშვათ ოჯახებთან ერთად, ოჯახთან ერთად ყოფნა თავისთავად ყველაზე კარგი თერაპიაა. სტრესის მოსაშუშებლად და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საქმეში ფსიქოლოგების ჯგუფის ჩართვაც გვსურს.

ამ საკითხზე განკარგულება დიდი ხანია გაცემული მაქვს. ამ სისტემის ასანყობად აუცილებლად დაგჭირდება გარე რესურსების მოძიება. გარდა ამისა, ამერიკელებთან ერთად დაწყებულია სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა.

**ქართულ სამხედრო ბაზებზე განხორციელებულ ტერაქტებზე საუბრისას ტოკ-შოუ „პოზიციაში“ აღნიშნავთ, რომ „პირველი თავდასხმის შემდეგ მაქსიმალური ნაბიჯები გადაიდგა, ჩვენი ბატალიონის ხელმძღვანელებმა ანალიზი გააკეთეს და NATO-ს სამხედრო სარდლობას მიმართეს იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული. სწორედ ამ გადაწყვეტილებით დაიშალა ორი ბაზა. ერთ-ერთი სამწუხაროდ ვერ მოესწრო, 3-4 დღეში უნდა დაშლილიყო“. უსაფრთხოების რა ზომები იყო მიღებული იმისთვის, რომ 13 მაისის ტერაქტის შემდეგ ასეთი შემთხვევა აღარ განმეორებულიყო?**

ოპერატიულ ზონაში, ანუ ჰელმანდში თავდასხმები მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ არ ხორციელდებოდა. ამ ტიპის დაახლოებით ათამდე თავდასხმა განხორციელდა. ამერიკელებმა, ავღანელებმა და ფრანგებმა ერთი თავდასხმის შედეგად 20 მეზრდოლი დაკარგეს. ეს არის კამპანია, რომელიც წამოიწყო ჩვენმა მოწინააღმდეგემ – თალიბანთან და ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა სტრუქტურებმა, რათა NATO-ს მისიაში დაგეგმილი ცვლილებები, რომლებიც 2014 წლის შემდეგ უნდა განხორციელდეს, მათი თავდასხმების შედეგად NATO-ს მიერ გადაგზავნილ იძულებით ნაბიჯად გაასაღოს. როგორც თავდასხმები, ასევე საინფორმაციო ფსიქოლოგიური შემოტევები მათი პოლიტიკის ნაწილია.

ამ კუთხით, როდესაც აბსოლუტურად მოუზადებელი, არაკომპეტენტური მოსაზრებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენი სამხედროების პროფესიონალიზმს, მათ მომზადებას და ზოგადად მისიის პრიორიტეტულობას, ეს ჩვენს სახელს და იმიჯს ურტყამს. გაუგებარია, როგორ აკეთებენ არასწორი დაგეგმვის ან მოქმედების შესახებ დასკვნებს ის ადამიანები, რომლებიც არ ფლობენ სადაზვერვო და ოპერატიულ ზონაში ძალთა განლაგების შესახებ არსებულ ინფორმაციას.

პირველივე თავდასხმის შემდეგ პირადად ვესაუბრე ბატალიონის ხელმძღვანელს, ასევე ადგილზე ჩვენი კონტინგენტის მეთაურს. მოვთხოვე მათ, რომ უახლოეს დღეებში გაენალიზებინათ, თუ რამ გამოიწვია ამხელა მსხვერპლი – 3 კაცი დაკარგეთ და გვყავდა დაჭრილები. მათ ძალიან სწრაფად შეისწავლეს ვითარება და რეკომენდაცია მისცეს უშუალოდ მათ სარდლობას. მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ გადაადგილებაზე,

დისლოკაციის შეცვლაზე, უსაფრთხოებისა და საინჟინრო ნაგებობების აგებაზე გადაწყვეტილებას NATO-ს სარდლობა იღებს. ჩვენ მათთან მეოთხე დონის დაქვემდებარებაში ვართ. სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, თავად ბატალიონის ხელმძღვანელმა დაიწყო გასამაგრებელი სამუშაოები როგორც დარჩენილ სხვა ბაზებზე, ასევე შირგაზზეც, სადაც მოხდა თავდასხმა. მან იმ ბაზების გადაადგილება და დახურვა მოითხოვა, რომელიც ასეთი თავდასხმებისას პირდაპირი საფრთხის ქვეშ იყო. სამწუხაროდ, 3 დღის დაგვიანებით მიიღეს ბაზის დახურვის გადაწყვეტილება.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მეთაურების მიერ ყველა სტანდარტული ოპერატიული პროცედურა ზედმინევენით სწორად, კომპეტენტურად და პროფესიონალურად ჩატარდა.

**ISAF-ის მისიაში დღეისთვის 1600-მდე ქართველი ჯარისკაცი მსახურობს. ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენების შემდეგ გააქტიურდა მსჯელობა კონტინგენტის შემცირების აუცილებლობის შესახებ. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ ქართველი სამხედროები ე.წ. „სხვის ომში“ არ უნდა იღუპებოდნენ.**

ის შეკითხვები, რომელიც საზოგადოებაში ჩნდება, აბსოლუტურად ლეგიტიმურია, განსაკუთრებით კი ასეთი მძიმე დანაკლისის შემდეგ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში დიდი კონტრიბუცია გვაქვს; დანაკარგიც ძალიან დიდია. ბოლო პერიოდში დაღუპული ათი ქართველი სამხედრო დანაკლისის მხრივ სხვა ქვეყნისთვის, შესაძლოა, 1000 კაცს უდრიდეს. ასეთ დროს ჩვენს ქვეყანაში ემოციური ფონი აბსოლუტურად ბუნებრივად იწვეს. კარგად მესმის

ყველა დედის, მაგრამ მინდა განვმარტო – კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება რამდენიმე წლის წინ იყო მიღებული. საქართველომ ამ გადაწყვეტილებით ვალდებულება აიღო და ღირსეული, თავმოყვარე ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო პრინციპებს პატივს სცემს, ვალდებულებებზე უარს ვერ იტყვის.

სამხედროები პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ასრულებენ. მათ ბრძანება მიიღეს და ეს ბრძანება პირნათლად უნდა შეასრულონ. რა თქმა უნდა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა თუ რატომ ვართ წარმოდგენილი ორი ბატალიონით, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო და სახელმწიფო აღებულ ვალდებულებაზე უარს ვერ იტყოდა. 2014 წლამდე ამ მოვალეობას კოალიციურ ჯარებთან ერთად შევასრულებთ.

**რას გეგმავს საქართველო 2014 წელს პოსტ-ISAF-ის მისიასთან დაკავშირებით?**

ჩვენ დავინწყეთ დიალოგი NATO-სთან, დავინტერესდით, როგორი იქნებოდა მისია 2014 წლის შემდეგ. პირადად არაერთხელ შევხვდით NATO-ს გენერალურ მდივანს, ავღანეთში კოალიციური ძალების ახალ და ძველ სარდლებსაც. კონცეპტუალურად უკვე მიღებულია, რომ ეს ის არასაბრძოლო მისია იქნება, რომელიც განვრთნის გამოცდილებას გაუზიარებს და აღჭურვავს ავღანურ ძალებს, რის შემდეგაც უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად მათ გადავაბარებთ. ახალმა ხელისუფლებამ და მთავრობამ გადაწყვიტეს, რომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ახალ მისიაშიც დავტოვებთ. ძირითადად იმავეს გეგმავს ISAF-ის მონაწილე 50-მდე ქვეყანა.

ჩვენს ქვედანაყოფს აუცილებლად შევამცირობთ, განსაზღვრული

გვაქვს ზუსტი რაოდენობაც, მაგრამ ამის გახმაურებისგან ჯერ თავს ვიკავებთ. რამდენიმე დღის წინ, NATO-ს ISAF-ის მინისტრიალზე გადაწყდა, რომ ოქტომბერში სარდლობა წარმოადგენს ოპერატიულ გეგმებს, სადაც განსაზღვრული იქნება რა რაოდენობის, რა განლაგების, რა სტრუქტურის იქნება

**■ კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება რამდენიმე წლის წინ იყო მიღებული. საქართველომ ამ გადაწყვეტილებით ვალდებულება აიღო და ღირსეული, თავმოყვარე ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო პრინციპებს პატივს სცემს, ვალდებულებებზე უარს ვერ იტყვის.**

მომავალი მისია და ამ შემთხვევაში უკვე ჩვენც მათთან ერთად განვაცხადებთ, თუ რა სახის იქნება ჩვენი მონაწილეობა ამ მისიაში.

წარმომადგენლობას უდაოდ შევამცირობთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, ძალიან დიდი პატივია, როდესაც სახელმწიფოს შექმნის მონაწილე ხარ, როდესაც ავღანურ საზოგადოებას უსაფრთხო გარემოში განვითარების შანსს აძლევ. მეორეს მხრივ, უნდა გვახსოვდეს, თუ რა დიდ საბრძოლო გამოცდილებას იძენენ ჩვენი ოფიცრები, სერჟანტები, რიგითები. ეს

ის გამოცდილებაა, რომელიც ჩვენივე უსაფრთხოებისთვის გამოგვადგება და საქართველოში მშვიდობას დაიცავს.

მინდა საზოგადოებას კარგად ჰქონდეს გააზრებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამხედროების მხარდაჭერას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი მსხვერპლი გვაქვს, პარალელურად კი საქართველოსა და ჩვენს ჯარზე ფსიქოლოგიური შემოტევის კამპანიაა წამოწყებული. არ შემიძლია არ შევებო იმ უპრინციპო და ამორალურ სტატიას, რომელიც „The New York Times“-ში გამოქვეყნდა, შემდეგ კი ადგილზე, ჩვენს შიგნით ამ ვიდეო-მასალის გავრცელება მოჰყვა, რომელზეც როგორც ქართული სახელმწიფოს, ასევე ქართული ჯარის მიმართ მტრული განწყობა იგრძნობოდა.

საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს გარკვეულწილად ერთიანი ჩანაფიქრის ნაწილია. ამ საკითხს ბოლომდე უნდა ჩავყვეთ და გამოვიძიოთ მისი წარმომავლობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს, რომელიც დიდი იმედი მაქვს, მალე დასრულდება და დამნაშავე სამაგალითოდ დაისჯება.

**რა პოზიცია აქვს თავდაცვის სამინისტროს ავღანეთში, ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსადრლის დაანონსებულ ვიზიტებთან და იმ სიუჟეტთან დაკავშირებით, სადაც მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთ ქართველ სამხედროს ოპერაციის დეტალებზე ესაუბრება?**

მაღალი დონის პოლიტიკური პირების ვიზიტების წინასწარ დაანონსება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მითუმეტეს, როდესაც საქმე მთავარსადრალს, პრეზიდენტს ეხება. ასეთ დროს როგორც მისი, ასევე ქართული კონტინგენტის უსა-

ფრთხობა დარტყმის ქვეშ დგება.

პირველი ასეთი შემთხვევისას პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიემართეთ და ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ, თუმცა, სამწუხაროდ, ანალოგიური რამ მეორედაც განმეორდა. ამ შემთხვევაშიც გვექონდა კომუნიკაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, უშიშროების საბჭოსთან და მათგან პასუხად მივიღეთ, რომ ასეთი წინდაუხედაობა აღარ განმეორდებოდა.

პრეზიდენტის მხრიდან კონკრეტული სამხედრო მოსამსახურეების მიერ ოპერაციის მიმდინარეობის პროცესზე ტელევიზიით გადაცემული ჩაკითხვის დეტალები კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა. ეს ფაქტი პირდაპირი საფრთხის ქვეშ აყენებს ამ კონტინენტს, მაგრამ ვთვლი, რომ წინდაუხედაობა ალბათ ადმინისტრაციის მედიასამსახურებმა გამოიჩინა. ასეთი რამ მედია საშუალებით ღიად არ უნდა გავრცელებულიყო. ჩვენი წარმომადგენლები ამ ფაქტთან დაკავშირებითაც დაუკავშირდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ასევე მივიღეთ ზომები და დიდი იმედი მაქვს, ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯები მომავალში აღარ განმეორდება.

**NATO-ს უმაღლესი ემელონების წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ საქართველოს წვლილი ავღანეთის მისიაში ძალიან დიდია. ასეთ პირობებში, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში განვერიანების გზაზე საზოგადოების ნაწილი მოლოდინის რეჟიმში ყოფნით დაიღალა. ხომ არ არის ეს კონტრიბუცია საქართველოს ერთადერთი მძლავრი ბერკეტი NATO-ში გასანვერიანებლად?**

პირველ რიგში, არ უნდა გავბედოთ, რომ დავიღალეთ. ეს უალტერნატივოა. ურთულეს გეო-პოლიტიკურ უსაფრთხოების გარემოში

ვართ, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ევროპულ ოჯახში დასამკვიდრებლად უფრო მეტი ძალისხმევა გვჭირდება.

ევროპისკენ სვლა ისტორიულად ყოველთვის ახასიათებდა საქართველოს. განსაკუთრებული ნაბიჯების გადადგმა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ორიენტირი დასავლეთისკენ მიდიოდა. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა

## რა ინსტრუმენტი გაჩნდება

მომავალი ინტეგრაციისთვის, ეს

NATO-სთან მოლაპარაკებისა და

მათი გადანყვეტილების შედეგი

იქნება, რაც უფრო ინტენსიური

გახდება საქართველოში

საპრეზიდენტო არჩევნების

შემდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ

საქართველო ამისთვის მზად

არის და ვგრძნობ მზაობას ჩვენს

პარტნიორებშიც.

შევარდნაძის დროს, ამის შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის პერიოდში. დღეს იმ ეტაპზე ვართ, როდესაც NATO-ს მისიაში კონკრეტული ხელშესახები კონტრიბუცია გვაქვს. ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში გრძნობენ, რომ მათ საქართველო სჭირდებათ.

თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავდივართ. ახლა არ უნდა გავბედოთ დაღლა, ახლა არ უნდა შევიტანოთ ეჭვი იმაში, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ეს დადასტურა თუნდაც

იმ გამოცდამ, რომელიც საოკუპაციო ხაზზე რამდენიმე დღის წინ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მოგვიწყო.

ამ ფაქტზე ჩვენი რეაქცია პოლიტიკურად მონიჭული იყო, ეს დადასტურა ანდერს ფოგ რასმუსენმა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა.

მეტი ძალისხმევა გვჭირდება იმის დემონსტრირებისთვის, რომ არა მხოლოდ ჯარი გვყავს მზად, არამედ გამართულია იუსტიციის სისტემა. პოლიტიკური სტაბილურობა განისაზღვრება იმითაც, რამდენად თანავარსებობთ პოლიტიკური ძალები ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც ელოდებიან საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების კიდევ უფრო მაღალი დემოკრატიული გამჭვირვალობის პირობებში ჩატარებას. ეს ყველაფერი სრულ საფუძველს მძლევს ვთქვა, რომ მომავალი წლის სამიტზე ჩვენთვის ძალიან გარდამტეხი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა გვექნება.

რა ინსტრუმენტი გაჩნდება მომავალი ინტეგრაციისთვის, ეს NATO-სთან მოლაპარაკებისა და მათი გადანყვეტილების შედეგი იქნება, რაც უფრო ინტენსიური გახდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ამისთვის მზად არის და ვგრძნობ მზაობას ჩვენს პარტნიორებშიც, მათ შორის ისეთებში, ვინც ასეთი სისწრაფით და დინამიკით საქართველოს ალიანსში ინტეგრაციას სკეპტიკურად უყურებდა.

საქართველოს სახელმწიფომ და ერმა აირჩია ეს გზა და ის უალტერნატივოა. ეს ქართული არჩევანია და აქედან ვერც ერთი მარგინალური ძალა ვერ გადაგვახვეწინებს. ეს ურყევი გზაა ევროპისკენ! **■**

ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი





# სად წავიდა ჩემი ფული?

ალბათ, ბევრ ადამიანს გასჩენია შეკითხვა, თუ სად მიდის მისი ხელფასი, რომელიც მალევე ეხარჯება და რეალურად, დაზოგვასაც ვერ ახერხებს.

დღესდღეობით საქართველოში ფულის დაზოგვის და დაგროვების კულტურა ნაკლებად განვითარებულია. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ თანხის გადანახვა მალაღობრივი შემოსავლის არქონის შემთხვევაში შეუძლებელია.

2011 წელს კვლევითი ორგანიზაციის - „ACT“-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც საქართველოში ფულის დაზოგვის კულტურას ეხება, აჩვენა, რომ უფრო ხშირად და მეტს ზოგავენ ის ადამიანები, ვისი ოჯახის შემოსავალიც თვეში 700 ლარზე მეტია. დანარჩენი მოსახლეობა კი უმეტესად ინფორმირებულაც არაა თანხების დაგროვების პრაქტიკის შესახებ, გარკვეული ნაწილი კი, ბანკებს საერთოდ არ ენდობა.

„ბანკი კონსტანტა“ მომხმარებელს უკვე მეხუთე თვეა სწორედ ფულის დაზოგვისა და დაგროვების ახალ მიხერხებულ სერვისს სთავაზობს.

„ინბოქსი“, რომელსაც თანამდეროვე ყულაბასაც ეძახიან, გაცილებით მოქნილია, ვიდრე ჩვეულებრივი ყულაბა. მისი გახსნა ნებისმიერ სრულწლოვან ადამიანს 6-8 წუთში მსხვილ სავაჭო ცენტრებსა და ბანკის ფილიალებში შეუძლია, შედეგად კი მიიღებენ ექვსნიშნა ინბოქსის ნომერს.

სწრაფი გადახდის აპარატებიდან თანხის შესატანად ანგარიშის იდენტიფიცირება ინბოქსის ექვსნიშნა ნომრის საშუალებით ხდება, რომელიც დაფიქსირებულია მომხმარებლის მიერ დადებულ ხელშეკრულებაში.

„ინბოქსის“ მომხმარებელს ბანკთან არანაირი ვალდებულება არ აქვს. ის თავისი სურვილის მიხედვით საჭირო დროს და საჭირო რაოდენობის თანხას აგდებს საკუთარ „ყულაბაში“. ფულის შეტანის დროს, მობილურზე შეტყობინება მოსდის, სადაც მითითებულია ჩაგდებული და მის ანგარიშზე არსებული თანხა. „ბანკი კონსტანტას“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი ლაშა გოგუა ამბობს, რომ ეს ერთგვარი აზარტია მომხმარებლისთვის და ბევრი სწორედ ამიტომ იყენებს ე.წ თანამდეროვე ყულაბას.

თუმცა ყველაზე ეფექტური მომსახურება, რასაც „კონსტანტა“ მოქალაქეებს სთავაზობს ისაა, რომ ბანკი

დაგროვილ თანხას თვითონ სერვისის მომხმარებლისაგან იცავს. მას ინბოქსის ვადაზე ადრე დარღვევის შემთხვევაში, საკომისიო 2%- ის გადახდა და ხელშეკრულების დარღვევა უწევს. შესაბამისად, მომხმარებელი ამდენ პროცენტურას ერიდება და უმეტესად ფულს ბოლომდე აგროვებს, რომლის მინიმალური ვადა 12, მაქსიმუმი კი - 24 თვეა.

„მომხმარებელი თავიდან უკმაყოფილო იყო თანხის უკან გამოტანის პროცედურებით, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს პროცედურები, თანხას თვითონ მომხმარებლისგან იცავს საიმედოდ. წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი ყულაბა, რომლიდან ფულის ამოღებაც ყველანაირად გვიცდიდა. „ინბოქსის“ შემთხვევაში კი, თანხის გამოტანა ბანკს ასე გაიოლებული არ აქვს. იგი უნდა მივიდეს ბანკში, დაარღვიოს ხელშეკრულება, გარდა ამისა, მას თანხის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, სარგებელი არ დაერიცხება, ხელშეკრულების ავტომატური განახლება კი შესაძლებელი არაა“, - აღნიშნავს ლაშა გოგუა.

ინბოქსის საპროცენტო განაკვეთი 12 -დან 24 თვემდე 2%, 24 თვეში კი - 5%.

აღსანიშნავია, რომ ფულის დაგროვება ჯგუფურად, მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთადაც შეიძლება. ის ექვსნიშნა ინბოქსის ნომერი, რომლითაც თანხის შეტანა ხდება, შესაძლებელია სხვა ადამიანებსაც გაუზიაროთ და ანგარიშზე ერთდროულად დავაგროვოთ. ამით მომხმარებლის კონფიდენციალურობა არ ირღვევა.

როგორც აღვნიშნეთ, „ინბოქსი“ 2013 წლის თებერვლიდან გააქტიურდა და დღესდღეობით მას 70 000-მდე მომხმარებელი ჰყავს.

„ინბოქსი“ მომხმარებელს ახალი უნივერსალური დაზოგვის და დაგროვების შესაძლებლობას აძლევს. მართალია, სერვისი თებერვლიდანაა აქტიური, თუმცა ყოველდღიურად იზრდება მომხმარებლის რაოდენობა. ზოგი ბიზნესისთვის, ზოგი კი კონკრეტული მიზნისთვის აგროვებს. მაგრამ საინტერესოა, რომ „ინბოქსი“ ყველაზე მეტი პოპულარობით ახალგაზრდებში, 18-დან 34 წლის ასაკის მოქალაქეებში სარგებლობს“, - აღნიშნავს „კონსტანტას“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი ლაშა გოგუა.

# მსიხა სასაზღვრო ჰიობრემის დიდი ეფექტი

## ვალერი ძუცვეი

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვრის ცალმხრივ დელიმიტიზაციას ამ უკანასკნელის მხრიდან დიდი შეშფოთება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში და სამთავრობო წრეებში. ოფიციალური თბილისი ამ გამყოფ ხაზს ადმინისტრაციულ საზღვრად მიიჩნევს, ცხინვალის ხელისუფლება კი – სახელმწიფოთმორის საზღვრად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ მხარეს შორის მომხდარი შეირაღებული კონფლიქტიდან ხუთი წელიწადი გადის, ბუნებრივია, სტატუს-კვოს ნებისმიერი ცვლა საქართველოში მტკივნეულ რეაქციას იწვევს. დიციის და დვანის მიდამოებში ეკლიანი მავთულხლართების ზოლის გადმოტანა და შესაბამისი დავის წამოჭრა ბევრმა ქართველმა დამკვირვებელმა ოფიციალური მოსკოვის მცდელობად შეაფასა. მათი აზრით, რუსეთს სურს ზენოლა მოახდინოს თბილისზე და ასე დაიყოლიოს ის ახალ დათმობებზე, მათ შორის იმაზეც, რომ პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთიდან რუსეთზე გადმოატანოს.

რუსეთი მართლაც ყველა ღონეს ხმარობს, რომ თბილისს მოსკოვისადმი მაქსიმალურად ლოიალურად განწყობილი ხელისუფლება ჰყავდეს, ამის უარყოფა მართლაც გაჭირდება. 11 ივნისს როგორც საქართველოს, ისე დასავლეთის მიმართ უჩვეულოდ კეთილგანწყობილმა პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას, შესაძლოა, მართლაც



გადმოწეული საზღვარი  
სოფელ დიციან, ივნისი 2013

ფოტო: ვიქტორ ბიბილო

შეეტანა წვლილი საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზის გაუქმების საქმეში.

ნიშნავს თუ არა პუტინის განცხადება იმას, თითქოს თავის დროზე რუსულმა მხარემ საქართველოს სავიზო რეჟიმი იმიტომ დაუნწესა, რომ მასა და რუსეთის ორგანოებს შორის თანამშრომლობა არ არსებობდა? რასაკვირველია, არა. პუტინის პირით გამოთქმულმა ნინადადებამ „თანამშრომლობის“ შესახებ

უფრო შეფარულ მცდელობად გაიყურა. მას სურს ძალოვანი სამინისტროების გარკვეულ თანამდებობებზე საქართველოს რუსეთისთვის სასურველი პირების დანიშვნა გადაანყვეტინოს – დაახლოებით ისე, როგორც ეს ედუარდ შევარდნაძისდროინდელ საქართველოში იყო.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთისთვის არ არის საკმარისი საქართველოს მხრიდან მხოლოდ სიმბოლური

ფესტივლის კეთება – სოჭის ოლიმპიადაში მიღების მონაწილეობის გადაწყვეტილება, ან თუნდაც რუსული ენის პოპულარიზაციისთვის დაბრკოლებების მოხსნა.

მოსკოვს სურს, საქართველოს ნატოში განწევრიანების გეგმებზე უარი ათქმევინოს. ამ რეალობის დასაფიქსირებლად ქვეყნის მთავრობაში პრორუსული ფიგურების დანიშვნა ძალზე შესაფერისი რამ იქნებოდა.

თუმცა საქართველო-სამხრეთ ოსეთის ნახევრადოფიციალურ საზღვარზე გამწვანებულ მდგომარეობას სხვა, უფრო მარტივი ახსნაც მოეძებნება. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დათბობა ხელს არ აძლევს. ცხინვალში შემოფოტებით ადევნებენ თვალს ქართული პროდუქციის დაბრუნებას რუსეთის ბაზარზე, ზოგადად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამოცოცხლებას. ცხადია, რომ სამხრეთ ოსეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის არსებობა რუსეთის მიერ მის აღიარებას და მხარდაჭერას ეფუძნება. რუსეთმა რომ მოულოდნელად უარი თქვას ხუთი წლის წინანადელ აღიარებაზე, სამხრეთ ოსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. საზღვრის ხაზთან დაკავშირებული გართულებები, შესაძლოა, ამ მოსალოდნელი იდათობის გამო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების რეაქციაც იყოს. სამხრეთ ოსეთს ზემოქმედების ხერხები ძალიან მწირია საიმისოდ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დინამიკაზე რაიმე გავლენა მოახდინოს. საზღვართან დაკავშირებული საკითხები სწორედ ასეთ მექანიზმებს განეკუთვნება.

მეორე მხრივ, ბოლო დროს სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ურთიერთობის გამოც ჩნდება არაერთი კითხვა. იენისის დასაწყისში რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრი, იგორ სლიუნიჩევი სამხრეთ ოსეთს ვიზიტით ეწვია. რესპუბლიკის ხელისუფლების საინფორმაციო

რესურსი [www.cominf.org](http://www.cominf.org) ოპტიმიზმით იუწყებოდა: „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ხუთი წლის თავზე ჩვენი რესპუბლიკის ხალხი საჩუქრად გარკვეულ ობიექტებს, სამუშაო ადგილებს და ქვეყნის მართვასთან დაკავშირებულ გონივრულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.“ რუსეთის რეგიონული განვითარების სამინისტროს საიტმა გაცილებით მეტი თავშეკავება გამოიჩინა: „ყოველი რუბლი, რომელიც რესპუბლიკის საგზაო ობიექტებისთვის, სოციალური თუ სხვა საჭიროებებისთვის გამოიყოფა, მაქსიმალური ეფექტურობით უნდა დაიხარჯოს.“ რუსული უწყების საიტზე ინფორმაცია ბევრად უფრო დეტალური იყო და იუწყებოდა, რომ სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამა 47 ობიექტს და ღონისძიებას მოიცავს, რისთვისაც მთლიანობაში 8 მლრდ. რუსულ რუბლზე მეტია (დაახლოებით 270 მილიონი ამერიკული დოლარი) გამოყოფილი. თუმცა ამასთან 7,5 მლრდ. რუბლი რესპუბლიკას ჯერ კიდევ 2011 – 2012 წლებში გამოეყო, ხოლო 2013 წლისთვის მხოლოდ 1 მლრდ. რუბლის გამოყოფა დაგეგმილი. მეტიც, რუსული სამინისტროს ინფორმაციით, „იმდინარე წელს რესპუბლიკაში ფულადი სახსრები ჯერ არ შემოდინებულა. ამის მიზეზია სამხრეთ ოსეთის მიერ რუსული დახმარების თანხების გამოყენებასთან დაკავშირებული ორმხრივი რეგლამენტით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების დარეგულირების აუცილებლობა. რუსეთის რეგიონალური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელი მზად არის ოპერატიულად მოხსნას საინვესტიციო პროგრამის ფინანსირების ხელახალი დაბრკოლებები (სტილი შენარჩუნებულია).“

თუ ამ ბიუროკრატიულ ევფემიზმს გულდასმით ნაკვითხავთ, გასაგები გახდება, რომ რფ-ს რეგიონალური განვითარების სამინისტროს პრესრელიზი

ადასტურებს არაოფიციალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მოსკოვსა და ცხინვალს შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს სამხრეთ ოსეთის საკადრო საკითხების გარშემო. რაკი ცხინვალის პოზიციებს არ თმობს, მოსკოვი ახლა ცდილობს მსუბუქი ზენოლა მოახდინოს რესპუბლიკის ხელისუფლებაზე. საინვესტიციო პროგრამის ფინანსირების „დროებით შეჩერება“ სწორედ საამისო ბერკეტია. სავსებით შესაძლებელია, რომ სამხრეთ ოსეთში ამგვარი წნეხის ამუშავებას რუსულ-ქართული ურთიერთობის დათბობას მიაწვდენ. ამიტომ, სავარაუდოდ ცხინვალის გააგრძელებს ზენოლის იმ ხერხების მცირე დოზით გამოყენებას, რომლებიც, როგორც ვთქვით, მის ხელთაა. ეს კი ხელს შეუწყობს რუსულ-ქართული ისედაც დაძაბული ურთიერთობების არგანმუხტვას.

ნაკლებ საფიქრებელია, რომ მოსკოვი ერთდროულად ეძებდეს სამხრეთ ოსეთთან და საქართველოსთან ურთიერთობების დაძაბვას. საქმე ალბათ უფრო იმ რეალობასთან გვაქვს, როცა არსებული უთანხმოებისა და ურთიერთუნდობლობის პირობებში (რასაც, უმეტეს სემთხვევაში, საფუძვლიანია), ყოველი ინციდენტი დაუყოვნებლივ დიდ პრობლემად იქცევა-ხოლმე, რომელსაც შემდეგ მრავალგვარი ინტერპრეტაცია უკეთდება. ეს კი განსაკუთრებით ხელს უწყობს იმას, რომ დაპირსპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობა ახლანდელ, ძალზე არადამაკმაყოფილებელ დონეს ვერა და ვერ სცდება. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ხსენებული ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, არ თანხვედბოდეს ფურნალის რედაქციისა და ბოლის ფონდის პოზიციას.





# ბიძონა მესამე ხანისუფლებების

9 ივნისს მისამართლეთა კონფერენციაზე, „რედისონ ბლუ ივერიას“ მალაქჭერიან, საკონფერენციო დარბაზში გათამაშდა უაღრესად დრამატული სცენა, რომელიც თავის თავში მოიცავდა სტრატეგიულ იერიშებს, ტაქტიკურ შეტაკებებს, კულუარულ ომებს, დაპირისპირებებს და შეთანხმებებს. და ამ ზედაპირზე უხილავმა, უფრო ზუსტად კი რთულად შესამჩნევმა პროცესებმა განსაზღვრა ბრძოლის შედეგები, ბრძოლისა – მესამე ხელისუფლებისთვის.

ზურაბ ვარდიაშვილი

„კოტე მოდის, კოტე მოდის“, – დაიძახებდა ხოლმე რომელიმე კორესპონდენტი. სასტუმროს ფოიეში სვეტებზე მიყრდნობილი და დივნებზე მიწოლილი ჟურნალისტები წამოიშლებოდნენ და ერთმანეთს განლაგებული კამერების წინ ნახევარწრის ფორმას ლებულობდნენ. კითხვების ინსტიტუტურ მოლოდინში რამდენიმე წამით სრული სიჩუმე მყარდებოდა, ამოოცდის შემდეგ, რესპოდენტი მოკლე კომენტარს აკეთებდა და დარბაზში ბრუნდებოდა.

„ზაქარია, მოდის, ზაქარია მოდის“, – გაისმებოდა ისევ და ადგილებზე დაბრუნებული ჟურნალისტები დისციპლინირებული მოძრაობებით ხუთი წუთის წინანდელ პოზებს რამდენიმე წამში იბრუნებდნენ. ისევ წამიერი დუმილი და ისევ ავტოკომენტარი.

9 ივნისს, დილიდან გვიან ღამემდე კონსტანტინე კუბლაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი და სხვა დეპუტატები, იურისტები თუ დამკვირვებლები დროდადრო მოსამართლეთა მიმდინარე კონფერენციიდან გამოდიოდნენ და ჟურნალისტებისთვის განცხადებებს აკეთებდნენ. თუმცა საზოგადოებამ ამ პროცესის შესახებ იმდენადვე სიღრმისეული ინფორმაცია მიიღო, რამდენადაც წინა ორ აბზაცში აღწერილი რიტუალით რაიმე მოვლენის აღქმა, გააზრება, გადამუშავება და მიწოდება შესაძლებელია.

რეალურად კი, „რედისონ ბლუ ივერიას“ მალალჭერიან, საკონფერენციო დარბაზში გათამაშდა უაღრესად დრამატული სცენა, რომელიც თავის თავში მოიცავდა სტრატეგიულ იერიშებს, ტაქტიკურ შეტაკებებს, კულუარულ ომებს, დაპირისპირებებს და შეთანხმებებს. და ამ ზედაპირზე უხილავმა, უფრო ზუსტად კი, რთულად შესამჩნევმა პროცესებმა განსაზღვრა ბრძოლის შედეგები, ბრძოლისა – მესამე ხელისუფლებისთვის.

ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიწყო – მაშინ, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოების შესახებ კანონს ხელი მოჰკიდა და მის პროექტში მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა. ცვლილებათა

ერთ-ერთ მთავარი სამიზნე იუსტიციის საბჭო აღმოჩნდა.

იუსტიციის საბჭო სასამართლო სისტემის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოა. ის ნიშნავს და ათავისუფლებს პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეებს, ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას, ადგენს სასამართლოთა ბიუჯეტის პროექტებს, განსაზღვრავს ხელფასებსა და სხვა ხარჯებს, ორგანიზებას უკეთებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებს და ა.შ. იუსტიციის საბჭო, ნომინალურად სასამართლოს დამოუკიდებლობის უმაღლესი გარანტი, დაინტერესებული მმართველობის პირობებში, მესამე ხელისუფლების კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია.

სწორედ ამიტომ საბჭოს დაკომპლექტებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. დაკომპლექტების წესების შესახებ საზოგადოებას ახალი ამბების დონეზე ინფორმაცია გააჩნია: საბჭო თხუთმეტი წევრისგან შედგება, აქედან ექვსს პარლამენტი ირჩევს, ცხრას – მოსამართლეთა კონფერენცია. ამ ცხრიდან ერთი ადგილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივად ეკუთვნის, მოცემულ შემთხვევაში კიდევ ერთი ადგილი კონფერენციის მიერ ადრევე არჩეულმა წევრმა შეინარჩუნა. ამიტომ კონფერენციამ არჩევნები რეალურად შვიდ ადგილზე გამართა.

კონფერენცია მოსამართლეთა თვითმართელობის ორგანოა. ამ ორგანომ 9 ივნისს იუსტიციის საბჭოს წევრებად ზაზა მეიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, შოთა გენაძე, თამარ ალანია, ილონა თოდუა, პაატა სილაგაძე და ლევან მურუსიძე აირჩია.

მერაბ გაბინაშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას თავმჯდომარეობს. პაატა სილაგაძე უზენაესი სასამართლოს სისხლის სასამართლის პალატის წევრია. ზაზა მეიშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სისხლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეა. ის სააპელაციო სასამართლოში მუშაობდა, და მას შემდეგ

■ კონფერენცია მოსამართლეთა თვითმართელობის ორგანოა. ამ ორგანომ 9 ივნისს იუსტიციის საბჭოს წევრებად ზაზა მეიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, შოთა გენაძე, თამარ ალანია, ილონა თოდუა, პაატა სილაგაძე და ლევან მურუსიძე აირჩია.

დაანინაურეს, რაც მისმა კოლეგიამ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს რვანლიანი პატიმრობა მიუსაჯა. შოთა გენაძე საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხელმძღვანელობს, მისი სახელი ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძის მოქალაქეობის ჩამორთმევის გამო გამართულ პროცესებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესებზე ივანიშვილის ადვოკატები გენაძის აცილებას გამუდმებით ითხოვდნენ.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამარ ალანია, 1999 წლიდან პროკურატურის სტრუქტურებში მალალ თანამდებობებს იკავებდა. 2000-2003 წლებში ბრალდების სამმართველოს პროკურორად, 2004-2006 წლებში კი გენერალურ პროკურატურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლის დევნის სპეციალური სამსახურის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა.

პირველი ინსტანციის მოსამართლე ილონა თოდუა უძღვებოდა სხდომებს, რომლებზეც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური პარტიები მილიონობით ლარით დაჯარიმდნენ. მისი სახელი დაკავშირებულია 2008 წელს, ტელეკომპანია „იმედის“ დაჯარიმებისა და ლიცენზიის ჩამორთმევის შემდეგ გამართულ პროცესებთან. სახალხო დამცველის მაშინდელ ანგარიშში ვკითხულობთ: „კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე ილონა თოდუას მხრიდან დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა...“ „ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსამართლის არაკომპეტენტურობაზე, რომელმაც კანონის არცოდნის გამო 26 დღით გააჭიანურა სარჩელის წარმოებაში მიღება. მსგავსი ფაქტები უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობასა და ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაზე“...

ილონა თოდუა იყო მოსამართლე, რომელმაც ხულიგნობის ბრალდებით, ად-

მინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღლავას. ცნობილი რეინჯერის თქმით, ამ გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს მხოლოდ 10 წუთი დასჭირდა.

ლევან მურუსიძემ 2005 წელს უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი გაათავისუფლა. ის პირველი ინსტანციის სასამართლოში შვიდთვიანი სტაჟის შემდეგ პირდაპირ უზენაეს სასამართლოში დაანინაურეს და პირველივე საქმედ ცნობილი „მეამბოხე“ მოსამართლეთა დისციპლინური დევნა ჩააბარეს.

როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა კონფერენციის შემდგომმა რეაქციებმა ცხადყო, მათ მოსამართლეთა არჩევანი არ მოეწონათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ რეზულტატს ნებით თუ უნებლიეთ ხელი თავადვე შეუწყვეს.

საქმე ისაა, რომ სასამართლოების შესახებ კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში სასამართლოების, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეებისთვის იუსტიციის საბჭოს კარი დახურული იყო. ვენეციის კომისიამ, (რომელიც საკონსტიტუციო საკითხებში ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანოა) ასეთ მიდგომას მხარი არ დაუჭირა და თანამდებობის პირ მოსამართლეთათვის ადგილების მხოლოდ ნაწილობრივ შეზღუდვის შესაძლებლობაზე მიუთითა. კანონმდებლებმა ეს შესაძლებლობა გამოიყენეს და პალატების და კოლეგიების თავმჯდომარეებს შესაძლო ადგილების რაოდენობა სამამდე შეუზღუდეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ მათი სურვილი იყო და კანონის ნორმაში ვერ ასახეს, საბოლოოდ დეპუტატებს თავმჯდომარეთა თეორიული რაოდენობის შეზღუდვა კი არა, მათთვის ამ ადგილთა დაჯავშნა გამოუვიდათ. ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ მიღებული ნორმა ამგვარად ინტერპრეტირების საშუალებას იძლეოდა. რაც კონფერენციამ გამოიყენა კიდევ.

თუმცა ეს არ იყო პირველი შეცდომა. ხელისუფლებამ ტაქტიკური შეცდომების



დაშვება მაშინ დაინყო, როდესაც წინასაკონფერენციო პერიოდში, მოსამართლეების მიმართ მუქარის ენაზე ალაპარაკდა. „ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან გიორგი ჩემია, ნაირა გიგიტაშვილი, ლევან თევზაძე ან დავით კეკელიძე, ჩემს თვალში მოსამართლეები არ არიან, მათ არ შეიძლება ადამიანების ბედი ებაროთ“; „ის მოსამართლეები, ვინც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა, დისციპლინური პროცესის შედეგად დაისჯებიან“; „მე მჭირდება სასამართლოს რეფორმა იმისთვის, რომ მოსამართლეთა კორპუსმა ობიექტური სადისციპლინო პროცედურების შედეგად, შეძლოს იმ მოსამართლეების დასჯა, ვინც ლებულობს უკანონო გადაწყვეტილებებს და შეიძლება ეს მათი გათავისუფლებითაც დამთავრდეს.“ – ეს განცხადებები იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს ეკუთვნის. და ეს არ არის ყველაზე მკვეთრი ტონი, რაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსამართლეებზე საუბრისას გამოუყენებიათ. „ეს ზამბარის პრინციპია, როგორც მოქაჩავ, ისეთივე უკურეაქციას მიიღებ“, – აღნიშნავენ არასამთავრობოთა წარმომადგენლები ამ საკითხზე საუბრისას. გასაკვირი არაა, რომ ასეთმა ტონმა ბევრ მოსამართლეს ძველ ნავში დარჩენისკენ უბიძგა.


თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელს, კახა კოჭორიძეს დავესესხებით, იუსტიციის საბჭოში ადგილების კვოტირებასთან დაკავშირებული ნორმა რაც არ უნდა ნათელი და არალავირებადი ყოფილიყო, არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად არ შეიცვლებოდა. მისსავე ციტატას თუ გამოვიყენებთ, „ჩვენი სასამართლო ჰგავს ფრინველს, რომელიც წლების მანძილზე გალიაში იჯდა, ახლა კარი გაუხსნეს და ის მაინც არ მიფრინავს.“

არავითარი ნორმა არ განსაზღვრავდა მოსამართლეების მიერ საკუთარი დღის წესრიგის მიღებას ან კანდიდატებისთვის კითხვების დასმას, თუმცა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მოსამართლეთა თითქმის სამმა მეოთხედმა საკუთარი უფლებების რეალიზებაზე უარი თქვა.

„ეს იყო საბჭოთა კავშირი“, – განაცხადა

უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა, „ეს იყო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებათა გარიგება“, – თქვა იურისტმა ლია მუხაშაურიამ, „ეს იყო მოსამართლეთა უცნაური გადაწყვეტილება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, „როდესაც ამდენი მოსამართლე ერთ აზრზეა, რა მნიშვნელობა აქვს სხვა შეფასებებს?“ – კითხვით უპასუხა მათ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

მოსამართლეთა კონფერენციაზე ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის მოქცეული იყო მესამე დამოუკიდებელი თამაშის მომხრე ჯგუფი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, სუფთად წააგო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ნათია ნიკეპლაძე და თეიმურაზ თოდრია რამდენიმე მოსამართლესთან ერთად ინდივიდუალური ძალისხმევით აქტიურობდნენ. კონფერენციამდე ერთი კვირით ადრე მათ გაავრცელეს განცხადება, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობის სახელით, უზენაეს ღირებულებებზე აპელირებით მოსამართლეებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისკენ მოუწოდებდნენ. აწყობდნენ შეხვედრებს, გამოდიოდნენ ინიციატივებით. კონფერენციაზე ყველაზე მეტად სწორედ ეს ჯგუფი გამოირჩეოდა. სწორედ მათ სურდათ კვოტირების ნორმის სახეცვლილი ინტერპრეტირება, დღის წესრიგის შეცვლა, საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის კითხვების დასმა და ა.შ. მათ ინიციატივებს მხარს მოსამართლეთა დაახლოებით ერთი მეოთხედი უჭერდა. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

შედეგის მიუხედავად, ეს მოსამართლეები დანებებას არ აპირებენ. ამ ჯგუფის წარმომადგენლის, იუსტიციის საბჭოს წევრობის დამარცხებული კანდიდატის, საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ბესიკ სისვაძის თქმით, კონფერენციას დადებითი შედეგიც ჰქონდა. მისი აზრით, გამოიკვეთა მოსამართლეთა არცთუ მცირერიცხოვანი ნაწილი, რომლებიც ბრძოლას არ შეწყვეტენ. სისვაძე იმედოვნებს, რომ ბრძოლა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის გაგრძელდება. 

„ეს იყო საბჭოთა კავშირი“, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა, „ეს იყო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებათა გარიგება“, – თქვა იურისტმა ლია მუხაშაურიამ, „ეს იყო მოსამართლეთა უცნაური გადაწყვეტილება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, „როდესაც ამდენი მოსამართლე ერთ აზრზეა, რა მნიშვნელობა აქვს სხვა შეფასებებს?“ – კითხვით უპასუხა მათ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

# სახანძროს მოხიბი ინსახჰენსია უნიჰახსიხახაბში

უმალესი განათლების შესახებ კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შედის. საზოგადოების ნაწილმა აღნიშნული ცვლილებები უნივერსიტეტების ავტონომიურობის შეზღუდვისა და აკადემიური თავისუფლების ხელყოფის მცდელობად შეაფასა, ნაწილისთვის კი ავტონომიის შეზღუდვაზე ჩივილი უტიფარი ცინიზმია, რადგან მათივე აზრით, საუნივერსიტეტო ავტონომიად ვერ ჩაითვლება კლანური პრინციპით და პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით დაკომპლექტებული ჯგუფის შეუზღუდავი ძალაუფლება.

## ლიკა ზაკაშვილი

უმალესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია პირველად სოციალურ ქსელში საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა გაავრცელეს.

ცვლილებების მიხედვით, რომელიც პარლამენტმა დაჩქარებული წესით უნდა განიხილოს, რექტორის მოვალეობის შესრულებელს, პრემიერ-მინისტრი განათლების მინისტრის წარდგინებით ნიშნავს.

ამავე კანონპროექტის მიხედვით, იცვლება რექტორისა და ასისტენტ-პროფესორის მიმართ ნაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. რექტორობის მსურველს აკადემიური ხარისხი უნდა ჰქონდეს, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავება კი დოქტორანტს აღარ შეეძლება.

კანონში შესატანი ცვლილებები საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრების მხრიდან უნივერსიტეტების ავტონომიუ-

რობის შეზღუდვის და აკადემიური თავისუფლების ხელყოფის მცდელობად შეფასდა.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უმალესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებები ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის გარეშე დაინერა და საკანონმდებლო ორგანოში გაიგზავნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სანდრო კვიციანიშვილის თქმით, 10 ივნისს, კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე, განათლების სამინისტროში უნივერსიტეტების რექტორებთან შეხვედრა გამართა, სადაც აღნიშნულ ცვლილებებზე საუბარი არც ყოფილა. განიხილეს როგორი უნდა ყოფილიყო ახალი კანონი უმალესი განათლების შესახებ.

როგორც იკვეთება, უნივერსიტეტები ცვლილებების შესახებ ინფორმირებულები



სტუდენტების აქცია თსუ-ს წინ, 14 ივნისი 2013

ფოტო: მიორაი შოთა

არ იყვნენ და ცვლილებათა პაკეტი მათი გვერდის ავლით მომზადდა.

აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში წარმოდგენისა და განხილვის პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიმართვაშიც არის საუბარი.

„მიგვაჩნია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის გარეშე არ უნდა ხდებოდეს. ასევე, სრულიად მიუღებელია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე. ამ დროისათვის, არ არსებობს გადაწყვეტილების სწრაფად მიღების საჭიროების რამენაირი დასაბუთება. ასეთ ვითარებაში კი კანონპროექტის სწრაფი განხილვა და

მიღება ზიანის მომტანი იქნება მთლიანად საზოგადოებისთვის, რადგან თავისთავად გამოირიცხება სამოქალაქო მონაწილეობა და ჩართულობა კანონის შექმნის პროცესში.“ – ნათქვამია საიას განცხადებაში.

ამავე განცხადების მიხედვით, ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში, უკვე რამდენიმე კანონი მიიღეს სამოქალაქო მონაწილეობის გარეშე.

„უახლოეს წარსულში, 2012 წლის დეკემბრის ბოლოს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების სამი მოსმენით განხილვას და მიღებას სულ 4 დღე დასჭირდა, რაც, ცხადია, ძალიან ცოტა დროა და დაინტერესებულ პირთა მხრიდან რაიმე სახის ჩართულობას გამოირიცხავს.“ – ნათქვამია საიას განცხადებაში.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს, პირველი მოსმენით,

■ ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებები ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის გარეშე დაინერა და საკანონმდებლო ორგანოში გაიგზავნა.



კენჭი 12 ივნისს უყარეს. როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობის რიგებიდან კანონპროექტს მხარი 12 წევრმა არ დაუჭირა. მათ შორის: ელისო ჩაფიძემ, ლევან ბერძენიშვილმა, დავით ბერძენიშვილმა, ვახტანგ ხმალაძემ, გედი ფოფხაძემ, დავით ონოფრიშვილმა, ირაკლი ჩიქოვანმა, ვიქტორ დოლიძემ, ნინო გოგუაძემ, ანი მიროტაძემ და თამარ კორძაიამ.

ლევან ბერძენიშვილისთვის პრემიერ-მინისტრის მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა მიუღებელია და აღნიშნავს, რომ თუ არ მოხდება რექტორის ან თუნდაც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა აკადემიური საბჭოს მიერ, ასეთ შემთხვევაში ავტონომია მცირდება. „ავტონომიის შემცირებას არც ერთი დღით არ მივესალმები.“ – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

საპარლამენტო განხილვების პარალელურად, კანონპროექტის განხილვის შეჩერების მოთხოვნით საზოგადოების წევრებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და პეტიციას, რომლითაც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პროფესორებმა საქართველოს განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს მიმართეს, ასეულობით პირი აწერს ხელს.

პეტიციის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერი იმ პრაქტიკის გამეორებაა, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება წინასაყვედურობდა.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლამდე რექტორის ვადამდე გათავისუფლებისა და მისი მოვალეობის შემსრულებლის საკითხს პრეზიდენტი წყვეტდა. 2006 წლის შემდეგ კი, რექტორის უფლებამოსილების ვადამდელ შეწყვეტას, ისევე როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საკითხებს, აკადემიური საბჭო განიხილავდა.

რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლებლის პრეზიდენტის მიერ დანიშვნის ფაქტს პროფესორთა ნაწილი

მაშინაც უმაღლესი სასწავლებლების კონტროლის მცდელობად აფასებდა.

2009 წელს ჟურნალ „ცხელი შოკოლადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მარინა ჩიტაშვილი აღნიშნავდა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოვალეობის შემსრულებლები ავტომატურად რექტორები გახდნენ. „არჩევნები ყველგან ფორმალურად ჩატარდა. ეს სახელმწიფოს მიერ უმაღლესი სასწავლებლების სრულ კონტროლს ნიშნავდა“ – ამბობდა მარინა ჩიტაშვილი.

სწორედ ასეთივე კონტროლის მცდელობას ხედავან ახალი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივაში საზოგადოების წევრები და პარლამენტს მოუწოდებენ, კენჭი არ უყაროს ცვლილებებს საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რომელთა ბედსაც ეს ცვლილებები უშუალოდ განსაზღვრავს.

ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელის, ლიკა ლლონტის შეფასებით, გარდამავალ პერიოდში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ადრეც პრეზიდენტი ნიშნავდა, თუმცა ამ მთავრობას შეეძლო წინა მოცემულობის გაუმჯობესება. მისთვის გაუგებარია, რატომ იმეორებს ახლანდელი მთავრობა წინა ხელისუფლების შეცდომებს.

როგორც ჩანს, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ეს ცვლილება პრინციპულად მნიშვნელოვანია და მოქმედი აკადემიური საბჭოსთვის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის უფლების დათმობას არ გეგმავს.

მინისტრის მოადგილის, დავით ზურაბიშვილის თქმით, შემოდგომისთვის იგეგმება ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას თავად უნივერსიტეტები შეძლებენ.

თუმცა, რატომ არ ხდება აღნიშნული ცვლილებას ახლა შეტანა, ამ კითხვაზე მინისტრს და მინისტრის მოადგილეს საჯარო განმარტებები არ გაუკეთებიათ.

კანონპროექტის მე-7 მუხლის ა) პუნქტთან დაკავშირებით სტუდენტებზე და

პროფესორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

სტუდენტთა ნაწილისთვის, რომლებმაც თავიანთი განცხადება European.ge-ზე გავრცელს, უნივერსიტეტთა ავტონომიის შეზღუდვაზე ჩივილი უტიფარი ცინიზმია, რადგან მათივე აზრით, საუნივერსიტეტო ავტონომიად ვერ ჩათვლება კლანური პრინციპით და პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით დაკომპლექტებული ჯგუფის შეუზღუდავი ძალაუფლება.

„არავისთვისაა საიდუმლო, რომ უნივერსიტეტში ძალაუფლებას ფლობდა და დღესაც ფლობს სააკაშვილის რეჟიმის ერთგულ ჩინოვნიკთა და დანიშნულ „ინტელექტუალთა“ კლანი“, – წერია განცხადებაში.

განცხადების ავტორთა აზრით, თუკი ამ ცვლილებებს ხელისუფლების კეთილ ნებას მივანდობთ, მხოლოდ თავს მოვიტყუებთ.

„ამიტომაც, სახელწიფოს პოზიტიური ჩარევა საზოგადოების ინტერესიდან და სიკეთიდან გამომდინარე, სავსებით ლეგიტიმურია და სრულ თანხვედრაშია დემოკრატიის პრინციპთან“, – წერია განცხადებაში.

პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი სახელმწიფოს ჩარევას არალეგიტიმურად მიიჩნევს და ამბობს, რომ მთელი ეს პროცესი უნდა რეგულირდებოდეს და იმართებოდეს უნივერსიტეტის აკადემიური წრეებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ და ნებისმიერი ჩარევა გარედან – იქნება ეს დროებითი თუ პერმანენტული – მიუღებელია, რადგან თუ დროებითი დავუშვით, მაშინ პერმანენტულის დაშვებაც მოგვიწევს“, – ამბობს ლელა გაფრინდაშვილი.

მე-7 მუხლის 1 პუნქტის გარდა კანონში სხვა მუხლებიც იცვლება,

ცვლილებების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

დეკანად შეიძლება აირჩეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის წევრიც

იმავე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გარდა ამისა, დოქტორანტი ველარ დაიკავეს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობას. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი სამი ან ოთხი წლის ვადით.

საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება კანონში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, სანდრო კვიციანიშვილის „მოსაშორებლად“ შედის, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებს შორის სანდრო კვიციანიშვილი ერთადერთია, ვისაც უმაღლესი აკადემიური ხარისხი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, როცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე აკადემიურმა საბჭომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე კვიციანიშვილი აირჩია, კანონიდან ის მუხლი, რომლის მიხედვითაც რექტორი აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა ყოფილიყო, ამოიღეს.

კანონში შესატან ცვლილებებს სანდრო კვიციანიშვილმა გადადგომით უპასუხა. 2013 წლის 12 ივნისს აკადემიურმა საბჭომ სანდრო კვიციანიშვილის პირადი განცხადება გათავისუფლების შესახებ დაამტკიცა და მას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დარჩენა სთხოვა.

ამჯერად სანდრო კვიციანიშვილი უნივერსიტეტში მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას იკავეს. ახალი რექტორების არჩევნები, სავარაუდოდ, აგვისტოში გაიმართება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხარისხის არმქონე რექტორი აღარ მართავს, შესაბამისად, უცნობია, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შეუძლია თუ არა პრემიერს ახალი მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა და მოახერხებს თუ არა სანდრო კვიციანიშვილი ახალი რექტორის არჩევნებამდე ამ პოზიციაზე მუშაობის გაგრძელებას. ■

■ **საპარლამენტო განიხილების პარალელურად, კანონპროექტის განხილვის შეჩერების მოთხოვნით საზოგადოების წევრებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და პეტციას, რომლითაც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პროფესორებმა საქართველოს განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს მიმართეს, ასეულობით პირი აწერს ხელს.**

# ჩა ხეზ(ოე)ა "ყაზტრანსგაზ-თბილისში"

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი, კახა კალაძე ყაზახეთის დედაქალაქს ბოლო ორი თვის განმავლობაში სამჯერ ეწვია. 10 და 11 ივნისს ასტანაში საქართველოსა და ყაზახეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ყაზახური მენეჯმენტისთვის დაბრუნება იყო. ოფიციალურმა თბილისმა თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის ყაზახური მხარისთვის დაბრუნების საკითხის ფორსირებულ რეჟიმში განხილვა მას შემდეგ დაიწყო, როცა ასტანამ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მმართველობაში დაბრუნების მიზნით ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიმართვა გადაწყვიტა.

## მანანა ვარდიაშვილი

■ გამოდის, რომ კომპანია ამ 4 წლის განმავლობაში ფუჭად მუშაობდა. ვალი არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა და ამჟამად 43 მლნ დოლარს შეადგენს. საიდან გაჩნდა ეს 3 მლნ დოლარი? ეს ჯარიმის დარჩენილი თანხაა. შესაბამისად, საგანგებო მმართველის მუშაობამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად კომპანიას კიდევ დამატებითი ვალი დაუგროვა“.

„თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის ყაზახური მხარისთვის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ მიიღო. კონსულტაციებში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა. „მთავრობის გადაწყვეტილებაა, რომ კომპანია დაუბრუნდეს ყაზახურ მხარეს. არ მგონია, ამ ყველაფერს დიდი დრო დასჭირდეს. ვალებთან დაკავშირებით არსებობს კითხვები როგორც ყაზახეთის, ასევე ჩვენი, ფინანსთა სამინისტროს მხრიდან. ეს პრობლემა არის მოგვარებადი,“ – განაცხადა ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

ასტანასა და თბილისს შორის განხილვის მთავარი თემა ახლა სწორედ ვალია. საქართველოს ყაზახეთის მიმართ 27 მლნ 774 ათასი დოლარის ოდენობის საგარეო ვალდებულება აქვს, რომლის რესტრუქტურისაც და გადახდა წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალი მართებს „ყაზტრანსგაზ-თბილისსაც“. „ფინანსთა სამინისტროს მიმართ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დავალიანება ამჟამად 75 მლნ ლარს შეადგენს. ეს არის ის ვალი, რომელიც გაზგამანაწილებელ კომპანიას, თავის დროზე, გაზი-



სა და ნავთობის კორპორაციის მიმართ დაუგროვდა. შემდეგ ეს თანხა ფინანსთა სამინისტროს გადაეწერა“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი.

ყაზახური მხარე თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის ბოლო წლების საქმიანობის შესწავლას და ამ ვალის ზუსტი ოდენობის დადგენას ითხოვს. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ყაზახურმა „ყაზტრანსგაზმა“ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 მლნ 500 ათას აშშ დოლარად 2006 წელს შეიძინა. როცა ყაზახებმა „თბილგაზი“ ჩაიბარეს, კომპანიას 250 ათასი დოლარის ვალი ჰქონდა და მიწოდებული აირის 57,4%-ს კარგავდა. ყაზახური კომპანია თბილისის ქსელში 5 წლის განმავლობაში 82 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას და კომერციული



დანაკარგების 10%-მდე შემცირებას აპირებდა. კომპანიაში ვარაუდობდნენ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ 2010 წლიდან მოგებაზე გავიდოდა, 2015 წლიდან კი ინვესტიციის ამოღებას დაიწყებდა, მაგრამ რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა.

2009 წლისთვის „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. კომპანიის მიერ დაგროვილი ვალების ამოღების მიზნით, ენერჯეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ 2009 წლის 16 მარტს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ დროებითი მმართველი დანიშნა. 2013 წლის 22 მაისს სემეკ-მა „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დროებით მმართველს – ანი თაქთაქიშვილს (ის საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ჩიორა თაქთაქიშვილის დაა – მ.ვ.) უფლებამოსილება მომავალი წლის 1 ივნისამდე გაუხანგრძლივა. დროებითი მმართველის საქმიანობით სემეკ-იც და ახალი ხელისუფლებაც კმაყოფილია. ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, დროებითი მენეჯმენტის საქმიანობის შედეგად „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ მოახერხა ვალის და კომერციული დანაკარგების შემცირება და აბონენტების მიერ მოხმარებული გაზის საფასურის უკეთ ამოღებაც. ყაზახურმა მხარემ კი სემეკ-ის გადაწყვეტილებას „პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა და საკუთარი აქტივის უპირობო დაბრუნება მოითხოვა.

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალურმა დირექტორმა, სანჟარ შოკატაევმა სააგენტო „ყაზთაგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვალის წარმოქმნის დეტალებზე ვრცლად ისაუბრა: „გაზისა და ნავთობის კორპორაცია ძალიან მკაცრი კონტრაქტის პირობების საფუძველზე გვაიძულებდა, რომ მოწოდებული გაზის სრული საფასური წინასწარ, მოწოდების დაწყებამდე გადაგვხადა. მოხმარებული გაზის საფასურს აბონენტებისგან ჩვენ მოწოდების შემდეგ, მეორე თვეში ვიღებდით. შესაბამისად, წარმოიქმნა 2-თვიანი გარღვევა შემოსავლებში, რის გამოც მიმწოდებლის

მიმართ 40 მლნ დოლარის ოდენობის ვალი წარმოიქმნა. ამავე დროს, ჩვენ გვეკონდა დებიტორული დავალიანებაც – თბილისის მოსახლეობის და იურიდიული პირების დავალიანება კომპანიის მიმართ 30 მლნ დოლარს შეადგენდა. სულ ცოტა ხნის მოცდა იყო საჭირო, რომ კომპანიას დებიტორული დავალიანება ამოეღო და ვალის დიდი ნაწილი გადაეხადა. ვალის დარჩენილ ნაწილს კი „ყაზტრანსგაზის“ სათაო ოფისი დაფარავდა. კეთილი ნება რომ ყოფილიყო, მოლაპარაკება შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ კომპანიაში საგანგებო მმართველის შემოყვანა გადაწყვიტა“.

სანჟარ შოკატაევი საქართველოს მთავრობას კომპანიის დროებითი მმართველის საქმიანობით დაინტერესებას ურჩევს. „2009 წელს საგანგებო მმართველმა ამოიღო კომპანიის 30 მლნ-იანი დებიტორული დავალიანება. 2010 წელს მას შეუმცირეს გაზის ტარიფი და კომპანიას დამატებითი შემოსავალი გაუჩნდა. გარდა ამისა, საგანგებო მმართველს შეუმსუბუქეს გადახდის რეჟიმი – ის თანხას იხდის 55 დღის განმავლობაში, რამაც კომპანიას შემოსავლებში გარღვევის და ჯარიმების თავიდან აცილების საშუალება მისცა. ჩვენი ვალის დიდ ნაწილს სწორედ ჯარიმები წარმოადგენდა. კომპანია აღმოჩნდა ხელსაყრელ პირობებში. შემოსული თანხა ვალის დაფარვას უნდა მოხმარებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა...“

აქ იწყება ყველაზე საინტერესო ამბავი. საგანგებო მმართველი ახდენდა თანხის აკუმულირებას და მას ვალის დასაფარად არ იყენებდა. თანხა გროვდებოდა ანგარიშზე. ამის გამო არ სრულდებოდა სასამართლოს დადგენილება საგანგებო მმართველობის რეჟიმის შემოღების შესახებ – ე.ი. ირღვეოდა კანონი. ვალს ერიცხებოდა ჯარიმა – წლიური 18% და 40 მლნ დოლარს ჯარიმის სახით დაემატა კიდევ 25 მლნ დოლარი. მხოლოდ გასული წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, საგანგებო მმართველმა ბიუჯეტში ერთდროულ-

ლად გადარიცხა მის მიერ ამოღებული თანხა 35 მლნ ლარი, 21 მლნ დოლარზე მეტი თანხა. მაგრამ ეს თანხა მოხმარდა არა ვალის დაფარვას, არამედ, ვალის გადაუხდელობის გამო დარიცხული ჯარიმის გადახდას. გამოდის რომ კომპანია, ამ 4 წლის განმავლობაში ფუჭად მუშაობდა. ვალი არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა და ამჟამად 43 მლნ დოლარს შეადგენს. საიდან გაჩნდა ეს 3 მლნ დოლარი? ეს ჯარიმის დარჩენილი თანხაა. შესაბამისად, საგანგებო მმართველის მუშაობამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მაგივრად კომპანიას კიდევ დამატებითი ვალი დაუფროვა“.

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალური დირექტორი ვარაუდობს, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებდა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დავალიანებას ხელოვნურად ზრდიდა, რათა ურთიერთჩათვლისთვის მიეღწია. „მოდო ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ – ეს თავისებური შანტაჟი იყო, ჩვენ ღიად გვეუბნებოდნენ: ყაზახეთი მდიდარი ქვეყანაა, თქვენთვის 40 მილიონი – კაპიკებია,“ – აცხადებს სანჟარ შოკატაევი და დასძენს, რომ იმ ადამიანთა შორის, რომელთაგანაც ეს ფრაზები მოისმინა, მინისტრებიც იყვნენ.

ოფიციალური ასტანას გალიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალური დირექტორი დღემდე საფინანსო დოკუმენტებთან არ დაუშვეს, გარდა ამისა, კომპანიის დავალიანება გაზისა და ნავთობის კორპორაციისადმი ისე გადაენერა ფინანსთა სამინისტროს, რომ ამის შესახებ ყაზახური მხარისთვის არ უცნობებიათ.

ყაზახეთის გაზის მინისტრის, საუათ მინბაევის თქმით, აუცილებელია „ყაზტრანსგაზ თბილისის“ საკითხთან დაკავშირებით „პოლიტიკური ან სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება“. მისი თქმით, ყაზახური მხარე მზადაა იმისთვისაც, რომ დატოვოს საქართველო და იმისთვისაც, რომ დარჩეს ქართულ

ბაზარზე. მინბაევი „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ ჩადებული თანხის განხილვას და დროებითი მმართველის განუხლები საქმიანობის დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი აცხადებს, რომ მხარეები უკვე შეთანხმდნენ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საკითხთან დაკავშირებით ორმხრივი კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიას, რომელიც კომპანიის ფინანსური დავალიანების, ასევე მენეჯმენტის საკითხებს შეისწავლის, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე უხელმძღვანელებს. როგორ დაკომპლექტდება კომისია, ამის შესახებ ინფორმაცია უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ყაზახეთის ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ მათი მხრიდან სამომავლოდ საქართველოში ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივა დიდწილად „ყაზტრანსგაზ-თბილისთან“ დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანის“ რეაბილიტაციის თემაც. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ასტანა მზადაა, დაკომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიზნით დაფინანსება გამოეყოს.

ლიკანის სანატორიუმში საქართველოს მთავრობამ ყაზახურ კომპანიას 10 მილიონ დოლარად 2006 წელს მიჰყიდა. თუმცა ქართულმა მხარემ კომპანია ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა და სანატორიუმის 50-პროცენტის ნილი უკან დაიბრუნა. ახლა ამ ნილს „საპარტნიორო ფონდი“ მართავს.

2013 წლის 13 ივნისს საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ განწყენებულ ინვესტორთან ურთიერთობას დააღაგებს, რაც ქვეყანას ყაზახეთიდან ახალი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას მისცემს. ■

■ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალური დირექტორი ვარაუდობს, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებდა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დავალიანებას ხელოვნურად ზრდიდა, რათა ურთიერთჩათვლისთვის მიეღწია. „მოდო ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ – ეს თავისებური შანტაჟი იყო, ჩვენ ღიად გვეუბნებოდნენ: ყაზახეთი მდიდარი ქვეყანაა, თქვენთვის 40 მილიონი – კაპიკებია,“ – აცხადებს სანჟარ შოკატაევი და დასძენს, რომ იმ ადამიანთა შორის, რომელთაგანაც ეს ფრაზები მოისმინა, მინისტრებიც იყვნენ.



# ფასიანი ქალაქების ბაზარი ახალ ეტაპზე ბადების

2008 წელს შეიცვალა კანონმდებლობა, მათ შორის რამდენიმე ფუნდამენტური მუხლი, რომელიც ფასიანი ქალაქებით ვაჭრობას ეხებოდა, გაუქმდა ფასიანი ქალაქების ბაზრის მარეგულირებელი კომისია და ამ სფეროს კონტროლი ეროვნულ ბანკს დაეკისრა. როგორც ექსპერტები ამბობენ, საკანონმდებლო სივრცის ე.წ. „ლიბერალიზაციას“ მოჰყვა ის, რომ ქვეყანაში ფინანსურმა რესურსებმა თავი მხოლოდ საბანკო სექტორში მოიყარა და ფასიანი ქალაქების ბაზრის სახით ინვესტიციების მოზიდვის და ფულის დაბანდების ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალება შეიზღუდა. კანონპროექტი, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი, ძველი რეგულაციების აღდგენას და მარეგულირებელი კომისიის შექმნას ითვალისწინებს.

## თათია ხალიანი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ერთ-ერთი იყო იმ 15 ქვეყნიდან, სადაც USAID-ის დამხარებით ფასიანი ქალაქების ბაზრის რეფორმა განხორციელდა. 1999 წელს, სწორედ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, საქართველოს საფონდო ბირჟა ჩამოყალიბდა, რომელიც ქვეყანაში ფასიანი ქალაქების ერთადერთი ორგანიზებული ბაზარია. 2000 წლიდან კი ბირჟამ რეგულარული სავაჭრო ოპერაციების განხორციელება დაიწყო. ამ პერიოდში შეიქმნა ფასიანი ქალაქების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობა, შესაბამისი კომისია, რომელიც ამ სფეროს კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებდა. ასევე, შეიქმნა ფასიანი ქალაქების ბაზრის სხვა ინფრასტრუქტურაც: ცენტრალური დეპოზიტარი, დამოუკიდებელი რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები.

როგორც სფეროს ექსპერტები ამბობენ,

### ■ საფონდო ბირჟა

ფასიანი ქალაქების ორგანიზებული ბაზარია, რომელიც ფასიანი ქალაქებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებებს შეგროვებს უზრუნველყოფს. ასევე, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საბაზისო ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა უკვე არსებობდა, ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარებას მაინც ბევრი ფაქტორი აფერხებდა. რეფორმა საბჭოთა კავშირის დაშლიდან საკმაოდ გვიან განხორციელდა, მაშინ როდესაც მასობრივი პრივატიზაციის პროცესი უკვე ჩავლილი იყო. იმ პერიოდში ერთადერთ ფასიან ქალაქებს კი სწორედ პრივატიზებულ საწარმოთა ფასიანი ქალაქები შეადგენდა, პრივატიზაციის პროცესი კი რეფორმამდე გაცილებით ადრე, 1994 წელს დაიწყო. ამ პროცესში გაჩნდა ძალიან ბევრი სააქციო საზოგადოება. თუმცა არ არსებობდა ორგანიზებული ბირჟა, სადაც საჯარო აუქციონზე, საპრივატიზაციო ქონების უშუალო გაყიდვა მოხდებოდა.

2003 წლიდან საფონდო ბაზარზე „საქართველოს ბანკის“ აქციები გამოჩნდა, რომელიც საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმატებით ივაჭრებოდა და ბაზრის

ლიკვიდურობა – ფასიანი ქაღალდების სრაფად და ადვილად გაყიდვაც, საგრძნობლად გაიზარდა. 2006 წლიდან საქართველოს ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსდა, რამაც საქართველოს საფონდო ბირჟის ლიკვიდურობის განახევრება გამოიწვია, მოგვიანებით კი ადგილობრივი ბაზრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადი გავიდა. მიუხედავად ამ და სხვა ფაქტორებისა, რომელიც ადგილობრივი ბაზრის განვითარებას უშლიდა ხელს, 2008 წლამდე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი მაინც სტაბილურად ვითარდებოდა.

2008 წელს კი ამ სფეროში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, მაშინდელი ხელისუფლების მთავარ არგუმენტად საკანონდებლო გარემოს ლიბერალიზაცია დასახელდა. ცვლილებები შევიდა რამდენიმე კანონში, მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში, გაუქმდა მარეგულირებელი კომისია და ამ სფეროს რეგულირება ეროვნულ ბანკს დაევალა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც მაშინ შეიცვალა, საფონდო ბირჟაზე დადებულ გარიგებებს ეხებოდა. არსებული კანონმდებლობით, საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა შესაძლებელია საფონდო ბირჟაზეც და მის გარეთაც. სწორედ ამან გამოიწვია, რომ გარიგებების 90% დახურულ და არასაჯარო სივრცეში გადავიდა. ხდებოდა პირდაპირი გარიგებების დადება ორ სუბიექტს შორის და ამაზე ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი ან საერთოდ არ არსებობდა, ან მისი გასაჯაროება იმდენად დაგვიანებულად ხდებოდა, რომ ინვესტორისათვის ფაქტობრივად უსარგებლო იყო.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ბოლო წლებია პრაქტიკულად შეჩერდა და ეს სწორედ იმ ცვლილებებით არის გამოწვეული, რომელიც 2008 წელს განხორციელდა. რის შემდეგაც მნიშვნელოვნად შემცირდა ფასიანი ქაღალდების ვაჭრობა და ამ ვაჭრობამ საფონდო

ბირჟის გარეთ გადაინაცვლა. რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგებები არასაჯარო და არაკონკურენტულ გარემოში ხდებოდა, რაც ზოგადად ამ ბაზრის ფუნქციონირებისთვის არ არის დამახასიათებელი,“ – ამბობს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავჯდომარე დავით ონოფრიშვილი.

გარდა ამისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ სფეროს კონტროლის ეროვნული ბანკისთვის გადაცემა გაუმართლებელი ნაბიჯი იყო, რადგან თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების პრაქტიკულად

■ **ფასიანი ქაღალდი** ნიშუმი ფორმით დადგენილი საფინანსო დოკუმენტია, რომელშიც მისი მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები აისახება.



ერთადერთ საშუალებას საქართველოში საბანკო დეპოზიტები წარმოადგენს. როცა საფონდო ბაზარი არალიკვიდური და განუფინათარებელია, ბანკები კომპანიათა დაფინანსების ერთადერთ წყაროდ რჩებიან და ინარჩუნებენ გარკვეულ პრივილეგიურულ მდგომარეობას მათ დაფინანსებაზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკის ყურადღება საბანკო სექტორის განვითარებაზეა მიმართული და მისთვის ამ ფუნქციების დაკისრება არასწორი იყო.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეკონომიკის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია გამართული ფინანსური სისტემის არსებობა, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე რგოლისგან შედგება, ერთ-ერთი სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზარია.

ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ვაჭრობას კი საფონდო ბირჟა უზრუნველყოფს, რომელიც ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად ახორციელებს. ასევე, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, დადებული გარიგებების და ფასებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება ევალება.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი ეკონომიკის განვითარებაში და საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში ძალიან დიდია. საფონდო ბაზარი უზრუნველყოფს გამჭვირვალე და კონკურენტულიორთიერთობებს ინვესტორსა და ინვესტიციების „მაციხებელს“ შორის. ის ინვესტიციების მოზიდვის ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმია.“ – ამბობს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე.

საქართველოს საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორი, ვახტანგ სვანაძე მიიჩნევს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, პოლიტიკური ნების გარეშე, შეუძლებელია.

„საფონდო ბაზარი ყოველთვის იგნორირებული იყო, რაც მას განვითარებისა და ეკონომიკურ პროცესებში მაქსიმალურ

რი ჩართულობის შესაძლებლობას არ აძლევდა. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას, სადაც საფონდო ბირჟას, როგორც ინვესტორთა მოზიდვისათვის საჭირო, გამჭვირვალე და საჯარო მექანიზმს, არ აქვს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.“

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავს იყრის ისეთი ტიპის ინვესტორები, როგორცაა სხვადასხვა ფინანსური კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, რომლებიც ბაზარზე მთავარი ფინანსური ინსტიტუტია. ასევე სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საწარმოები და კერძო ინვესტორები, რომელთა ძირითადი ინტერესის სფეროს წილობრივი ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს.

როგორც საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, გიორგი ლოლაძე ამბობს, ნორმალური საფონდო ბაზარი დივერსიფიცირებული მესაკუთრეობაა, რაც ათი ათასობით და ასი ათასობით მესაკუთრეს ნიშნავს, რომლებიც ინვესტორები ხდებიან და სწორედ ეს ქმნის ქვეყანაში საშუალო ფენას. საფონდო ბაზარი ფულის დაბანდების ალტერნატიული გზაა. რომელიც აძლევს ადამიანს საშუალებას, საბანკო დეპოზიტის გარდა, ბაზარზე მისთვის მისაღები საწარმოს ან კომპანიის აქცია იყიდოს.

■ **ცენტრალური დეპოზიტარი კომისიის მიერ** ლიცენზირებადი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორება, ასევე, განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და კომისიის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება.

## საკანონმდებლო ცვლილებები და საღაო მუხლები

სულ მალე საქართველოს პარლამენტი სასესიო მოსმენაზე განიხილავს კანონპროექტს, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ეხება. ცვლილებები შედის სხვადასხვა კანონში, მათ შორის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში.

აღნიშნული კანონპროექტი 2008 წლამდე არსებული რეგულაციების აღდგენას ითვალისწინებს. ამ სფეროს რეგულირება კი ეროვნული ბანკის კომპეტენციიდან გამოდის და ის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ კომისიას გადაეცემა. კანონპროექტის ავტორი საფინანსო-საბიუჯეტო



კომიტეტის თავჯდომარე, დავით ონოფრიშვილია. მისი თქმით, კანონპროექტი საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და მისი მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ასევე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა და სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

კანონპროექტი საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა უარყოფითად შეაფასეს, მათი შენიშვნები რამდენიმე მუხლს ეხებოდა. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჯაფარიძის თქმით, მანამდე უფრო ლიბერალური მიდგომა არსებობდა, ვისაც სურვილი ჰქონდა საფონდო ბირჟის გავლით დადებდა გარიგებებს, ვისაც ამის სურვილი არ ჰქონდა, პირდაპირი გარიგების გზით. მისივე თქმით, ცვლილებებით გარკვეული შეზღუდვები წესდება და ინვესტორი იძულებულია, მხოლოდ საფონდო ბირჟაზე დადოს გარიგება.

თუმცა კანონპროექტში წერია, რომ საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებები შეიძლება დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟაზე, გარდა ამ კანონით და კომისიის წესებით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ეს არ ეხება ყველა ფასიან ქაღალდს, რომლითაც ვაჭრობენ, არამედ მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებს, რომელიც საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაშია დაშვებული.

შემდეგი მუხლი, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, უცხოურ ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების დაშვებას ეხება. თუკი კომპანიას ფასიანი ქაღალდების უცხოურ ბირჟაზე განთავსება უნდა, მანამდე ეს ფასიანი ქაღალდები ადგილობრივ ბაზარზე უნდა იყოს დაშვებული. დავით ონოფრიშვილის თქმით, ეს ცვლილება არ ზღუდავს კომპანიის ნებას უცხოურ ბირჟაზე გავიდეს, არამედ ეს ცვლილება აძლევს კომპანიას შესაძლებლობას, პარალელურად, საქართველოს ბირჟაზეც ივაჭროს.

„გვინდა ისეთი მოტივაციების შექმნა, რომ ქართულმა კომპანიებმა საქართვე-

ლოს ბირჟაზეც ივაჭრონ. გარდა ამისა, ეს გაამარტივებს ადგილობრივი მყიდველისთვის ფასიან ქაღალდებზე ხელმისაწვდომობას, იმავე ინფორმაციის თვალსაზრისით“, – ამბობს ონოფრიშვილი.

კანონპროექტთან დაკავშირებით უმცირესობის მთავარი შენიშვნა საქართველოს საფონდო ბირჟის მონოპოლურ მდგომარეობას ეხებოდა. ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ თუ ვინმეს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის სურვილი ექნება, იძულებული გახდება, საქართველოში არსებულ მხოლოდ ერთ საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირდეს. კანონპროექტი არ იძლევა საშუალებას რამდენიმე საფონდო ბირჟა არსებობდეს.

თუმცა კანონპროექტში პირდაპირი ჩანაწერი არ არსებობს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ერთი საფონდო ბირჟა უნდა არსებობდეს. არც ის არის მითითებული, რომ იკრძალება რამდენიმე საფონდო ბირჟის არსებობა ბაზარზე.

როგორც ონოფრიშვილი ამბობს, საქართველოს ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით, რთულია იმის წარმოდგენა, რომ რამდენიმე საფონდო ბირჟა შეიძლება არსებობდეს. თუმცა თუკი ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება, კანონით ეს შეზღუდული არ იქნება.

რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას, მისი კომპეტენცია ბაზრის რეგულირებად მონაწილეებზე ლიცენზიების გაცემა, შეჩერება ან გამოთხოვნა იქნება; რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგი, შემოწმება და ზედამხედველობა; სანქციების გამოყენება ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის დარღვევისათვის; ასევე, კანონქვემდებარე აქტების მომზადება და რეკომენდაციების წარმოდგენა ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრებს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით აირჩევს. კომისიის თავჯდომარეს კი პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. **■**

**■ ეპიტენტი – იურიდიული პირი, ბანკი, დაწესებულება, სახელმწიფო ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ორგანო, რომელიც მიმოქცევაში უშვებს ფასიან ქაღალდებს და კისრულობს ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს;**



## ქაღები ბისოსებს მიღმა

2010 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მსჯავრდებულ ქალებთან მოპყრობის ზოგადი კრიტერიუმები, ე.წ. „ბანგოკის წესები“ შეიმუშავა. ომბუდსმენის წარმომადგენელთა თუ უფლებადამცველთა შეფასებით, ქართული პენიტენციური სისტემა ამ „თუნდაც ასეთი ზოგადი“ სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორსაა.

ზურაბ ვარდიაშვილი



55 წლის ნინო ეზუგბაია (სახელი და გვარი შეცვლილია) მალაზიაში ნაყიდი საკვები პროდუქტებით სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ქუჩაში პოლიციელებმა გააჩერეს. „თქვენ დაპატიმრებული ხართ“ – განუცხადეს მათ და აქედან დაიწყო ისტორია, რომელსაც ნინო დღემდე ემოციის გარეშე ვერ იხსენებს.

ეს იყო სამი წლის წინ. ნინო ნარკოტიკს მოიხმარდა, თუმცა პოლიციასთან შეხება მანამდე არასდროს ჰქონია. სამართალდამცავები მის კვალზე მაშინ გავიდნენ, როდესაც ნინოს მეგობარი, ასევე ნარკომომხმარებელი დააპატიმრეს და მან თანამშრომლობის ფარგლებში მეგობრის გვარი დაასახელა. ეზუგბაიას ხუთი წელი მიუსაჯეს, თუმცა ციხე ხუთ თვეში დატოვა – ყოფილ მსჯავრდებულს თავისუფლება ასე ათასი ლარი დაუჯდა. შედეგად დღეს უსახლკაროდაა დარჩენილი, „ერთ კვირას ერთ მეგობართან ვრჩები, მეორე კვირას – მეორესთან, და ასე გადავდივარ ესტაფეტასავით“, – მეუბნება ნინო.

პატიმრობის თვეები მისთვის ურთულესი აღმოჩნდა. „საცხოვრებელი პირობები აუტანელი იყო. ერთ საკანში ექვსი ქალი ვცხოვრობდით, ტუალეტის კედელი გახეთქილი იყო და საშინელი სუნი გამოდიოდა. კვირაში მხოლოდ ერთხელ გვაბანავებდნენ. წყალი ხან ცხელი მოდიოდა, ხან ცივი. როდესაც „ლომკაში“ ხარ, პირველი ნიშანი ოფლიანობაა. ორგანიზმიდან მთელი შხამი გამოდის. ოფლად ვიღვრებოდი, ტუალეტში ცივი წყლით ვიბანდი, რომ სხვა არ შემენახებინა. არავითარი გამაყუჩებელი არ მქონდა, „მშრალზე“ გამოვდიოდი“. – მიყვება ყოფილი პატიმარი.

ქალ ნარკომომხმარებელ მსჯავრდებულს, მამაკაცებისგან განსხვავებით, მეტადონის პროგრამა არ ეხებათ. ამიტომ ნინომ პატიმრობის პირველი თვეები პრაქტიკულად ლოგინში გაატარა. ხშირად ცუდად ხდებოდა, მისივე მონათხრობის მიხედვით, წნევა რამდენჯერმე 70 – 50-მეც დაუვარდა. „გამიმართლა, რომ ნორმალურ საკანში, ნორმალურ პატიმრებთან ერთად მოვხდი, ყველანაირად მეხმარებოდნენ და პირველი თვეები ამან გადამატანინა.“

ნინო სხვა პატიმარ ქალთა ისტორიებსაც იხსენებს და არაადეკვატურ სასჯელებზე საუბრობს. „მართოვლელა დედა იყო, რაღაცები გაყიდა, ვალები აიღო, ვერ გადაიხადა და თაღლითობის მუხლით ჩასვეს. სულ ათას ლარზე იყო საუბარი, ხუთი ეპიზოდი დაუთვალეს. რომ გადაეხადა, უშვებდნენ.“

■ ქალ ნარკომომხმარებელ მსჯავრდებულს, მამაკაცებისგან განსხვავებით, მეტადონის პროგრამა არ ეხებათ. ამიტომ ნინომ პატიმრობის პირველი თვეები, პრაქტიკულად, ლოგინში გაატარა. ხშირად ცუდად ხდებოდა, მისივე მონათხრობის მიხედვით, წნევა რამდენჯერმე 70 – 50-მეც დაუვარდა. „გამიმართლა, რომ ნორმალურ საკანში, ნორმალურ პატიმრებთან ერთად მოვხდი, ყველანაირად მეხმარებოდნენ და პირველი თვეები ამან გადამატანინა.“



■ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელის აზრით, ქალები შეწყალების ან პირობით ვადამდე გათავისუფლების თვალსაზრისით ერთგვარად დაჩაგრულ ჯგუფს წარმოადგენენ. „პროცენტულად გათავისუფლებულთა შორის ძალიან ცოტა ქალი ხვდება. უდოს კომისია წლების მანძილზე საერთოდ არ მუშაობდა, ახლა თითქოს ამუშავდა, მაგრამ პრობლემები არ იცვლება: – ისევ დაუსაბუთებელ, შაბლონურ, ფორმალისტურ დამოკიდებულებებს ვაწყდებით. სხვადასხვა ორგანიზაციები უწყებას ამ ვითარების გამოსწორების თხოვნით მიმართავენ, თუმცა, ჯერ-ჯერობით უშედეგოდ.“

მაგრამ დედა არ დაეხმარა, ციხეშიც არავინ აკითხავდა. ტანსაცმელიც კი ჩვენ ვაჩუქეთ“.

ნინოს თქმით, როდესაც მამაკაცს აპატიმრებენ, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი მის გვერდითაა, აკითხავს მას, ეხმარება, ელოდება... ქალი პატიმრები კი განსაკუთრებული სტიგმის ქვეშ ექცევიან. ოჯახი ხშირად ებუტება მათ, სცხვენიათ მის გამო. იცვლება საზოგადოების დამოკიდებულებაც. „როდესაც ციხე დავტოვე, პირადად ჩემთვის, არავის არაფერი უთქვამს, თუმცა ვგრძნობდი, რომ ჩემსა და ბევრ ნაცნობს შორის ურთიერთობა შეიცვალა“. – ამბობს ნინო.

ახლა ერთ-ერთ ორგანიზაციაში მუშაობს და ყოფილ ნარკოდამოკიდებულ პატიმრებს ეხმარება. მისი თქმით, სახელმწიფო პატიმარ ქალთა პრობლემებს კომპლექსურად უნდა მიუდგეს: „როდესაც მომხმარებელი ციხეში ხვდება, პირველ რიგში, ჩანაცვლებითი თერაპია უნდა შესთავაზონ. ჯანდაცვის სერვისები გააუმჯობესონ, პირველადი მოხმარების ნივთები უფრო ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ყველაფერი ჭირს, შეიძლება ვიღაცამ შენი საპარსი იხმაროს, კბილის ჯაგრისიც კი პრობლემაა. ეს დაავადებების გავრცელებას უწყობს ხელს“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ხელმძღვანელი, ცირა ჭანტურია აღნიშნავს, რომ არის პრობლემები, რომლებიც ქალ პატიმართა წინაშე უფრო მკაცრად დგას, ესაა, მაგალითად ჰიგიენური საჭიროებები. კანონმდებლობა კონკრეტულად ამ საჭიროებებით დაკმაყოფილებას არ ითვალისწინებს. „რა თქმა უნდა, მათ აქვთ საპონი, სარეცხი საშუალება და ა.შ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი“. – ამბობს ჭანტურია.

მისი თქმით, ქალთა დიდი ნაწილი სასჯელს არაძალადობრივი დანაშაულისთვის, ძირითადად თაღლითობისთვის იხდის. და მათ არაადეკვატურად მაღალი სასჯელები აქვთ შეფარდებული. „ამ ქალთა უმეტესობა დედაა. ბევრის შვილი მოზარდია და მათი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ. სისხლის სამართლის სისტემაში ამ ასპექტზე ყურადღება ყოველთვის უნდა გამახვილდეს“.

მისი თქმით, პრომლემატურია რეპროდუქციული ჯანდაცვა. დანესებულებაში ისეთი პირობებია, რომელიც ამ კუთხით ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ პროფილაქტიკური სერვისები, რომელმაც გინეკოლოგიური პრობლემები არ უნდა დაუშვას და შეამციროს.

ცირა ჭანტურია ფიქრობს, რომ რადგან ქალებს ციხის კონტიგენტში მცირე ადგილი უჭირავთ, ამიტომ შესაძლოა ჯერ სათანადო ყურადღება ვერ დაიმსახურეს, „თუმცა მიგვაჩნია, რომ რადგან ქალები შედარებით უფრო მონყვლადი ჯგუფია, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ“, – აღნიშნავს ის.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელი ნათია იმნაძე ვერ ხვდება, რატომ ჭიანჭურდება „ერთი შეხედვით ისეთი მარტივი პრობლემის მოგვარება“, როგორც, მაგალითად, ქალი პატიმრებისთვის ჰიგიენური საფენების დარიგებაა. „ბიუჯეტი საკმარისი აქვთ, თუმცა ასეთი წვრილმანი საკითხები რატომ ვერ მოუგვარებიათ, არ ვიცი“, – ამბობს იმნაძე.

იმნაძე ნარკომომხმარებელთათვის მეტადონის პროგრამის არარსებობაზეც საუბრობს, მისი თქმით, სახალხო დამცველის რამდენიმე რეკომენდაცია არსებობს, „არის საუბარი, რომ პროგრამის განხორციელება დაიწყება, მაგრამ ეს საუბარი კარგა ხანია საუბრად რჩება.“

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელის აზრით, ქალები შეწყალების ან პირობით ვადამდე გათავისუფლების თვალსაზრისით ერთგვარად დაჩაგრულ ჯგუფს წარმოადგენენ. „პროცენტულად გათავისუფლებულთა შორის ძალიან ცოტა ქალი ხვდება. უდოს კომისია წლების მანძილზე საერთოდ არ მუშაობდა, ახლა თითქოს ამუშავდა, მაგრამ პრობლემები არ იცვლება: – ისევ დაუსაბუთებელ, შაბლონურ, ფორმალისტურ დამოკიდებულებებს ვაწყდებით. სხვადასხვა ორგანიზაციები უწყებას ამ ვითარების გამოსწორების თხოვნით მიმართავენ, თუმცა ჯერ-ჯერობით უშედეგოდ.“

ქალი მსჯავრდებულები სასჯელს რუსთავის N5 დანესებულებაში იხდიან. რუსთავ-

ში გადაყვანამდე, თბილისში, მატროსოვის ციხეში ცხოვრობდნენ. ყოფილი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მატროსოვზე ცხოვრება გაცილებით ასატანი იყო, პატიმრებს ჰქონდათ გამწვანებული ეზო, ბაღი, რუსთავის „სრულიად ხრიოკი“ დაწესებულება კი „ყოველდღიური ცხოვრებისთვის საკმაოდ არაადაპტირებულია“. ამასთან მრავალი მათგანი აღნიშნავს, რომ რუსთავში გადმოყვანის შემდეგ რეჟიმი გაცილებით გამკაცრდა. პატიმარ ქალთა უმრავლესობას მატროსოვზე დაბრუნება სურს.

„რუსთავიდან მალე გადავიყვანთ“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში იურიდიული დახმარების, პრობაციისა და სასჯელალსრულების საკითხთა მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე. რაც შეეხება ქალებისადმი დისკრიმინაციულ მიდგომას, მინისტრის მოადგილე ამ მოსაზრებას არ იზიარებს, „ჯანდაცვაზე მათ ისეთივე ხელმისაწვდომობა აქვთ, როგორც კაცებს, მეტადონი ადგილზე არ არის, მაგრამ რაც დავინიშნე,

„ლომკის“ შემთხვევა სულ ორჯერ დაფიქსირდა, და ორჯერვე სამოქალაქო კლინიკებში გავიყვანე.“

რაც შეეხება ჩანაცვლებით თერაპიას, „კლასიკური გაგებით ის ქართულ ციხეში საერთოდ არ არსებობს, კაცებს აქვთ მეტადონის მოკლე დეტოქსი, სულ ესაა.“ აღნიშნავს თალაკვაძე. მისი თქმით, შესაძლოა ზოგადად ჯანდაცვა ისევეა მონესრიგებული, როგორც მთელ ქვეყანაში – „ამ ეტაპზე უკეთ შეუძლებელია.“



Promoting penal reform worldwide

სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებებს.

Radio Commersant

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

# დასაქმების ბადაუჭიხილი ჰიობიება

საქართველოში უმუშევრობის დონე, წლებია, კრიტიკულ ზღვარს გასცდა. ეკონომისტების აზრით, ეს ზღვარი მაშინ ილახება, როდესაც მოსახლეობის 8%-ზე მეტი დაუსაქმებელია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2011 წლის მონაცემებით კი, ქვეყნის შრომისუნარიან მოსახლეთა 15,1%-ს სამსახური არ გააჩნია. ამასთან მოსახლეობის 9,2 % სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

## ანი ჭანკოტაძე

სხვადასხვა კვლევას, მათ შორის CRRC-ის მიერ NDI-სთვის ჩატარებული კვლევის მიხედვით, უმუშევრობის დონე ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით კიდევ უფრო მაღალია. ექსპერტები საუბრობენ, რომ უმუშევრობის დათვლის საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს, გარდამავალი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის შეუსაბამოა.

„უმუშევრობის დონე შრომის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტით ითვლება, რომლის მიხედვითაც ადამიანი უმუშევრად არ მიიჩნევა, თუ ანაზღაურების მისაღებად კვირაში ერთ საათს მაინც მუშაობს. ეს მეთოდიკა გარდამავალ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, სწორ სურათს ვერ იძლევა“ – ამბობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი იაკობ მესხია.

ამ სტანდარტით, სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადამიანებს ავტომატურად დასაქმებულად მიიჩნევენ. საქართველოში სოფლის



მეურნეობას მოსახლეობის 50%-ზე მეტი მისდევს, ამ სფეროში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის წილი კი 7-8%-ს არ აღემატება. იაკობ მესხიას თქმით, სოფლად მცხოვრებთა უმეტესობა დასაქმებულად ვერ ჩაითვლება, რადგან მოსავალს იმ რაოდენობით იღებენ,





რომ შიმშილით არ დაიხოცონ. „სასაქონლო წარმოებისა და ბაზარზე გასვლის საშუალება არ აქვთ, შესაბამისად, არ შეიძლება მათ დასაქმებულები ვუნოდოთ. ეს სტანდარტი უცხოეთშია მისაღები, რადგან სოფლად მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ

7-8%-ია დასაქმებული, მათ განვითარებული ფერმერული მეურნეობები და სერიოზული შემოსავალი აქვთ.“ – ამბობს მესხია.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სოსო არჩვაძის თქმით, თვითდასაქმებული, რომელიც მოყვანილ ბოსტნეულს, ან

მსეზუმზირას ყიდის, საარსებოდ აუცილებელი დოვლათის შექმნასაც ვერ ახერხებს. სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე დაახლოებით 11-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში. ოფიციალურად კი სოფლად უმუშევრობის დონე მხოლოდ 7%-ია.

ამიტომ არჩევადეს მიაჩნია, რომ დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ხელფასს დამსაქმებლისგან იღებს.

მოქმედი წესის მიხედვით კი, დასაქმებულად ითვლება სოფლად მცხოვრები თვითდასაქმებული ადამიანი და ისიც, ვინც კვირაში ერთი დღე მაინც იმუშავა ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თვითდასაქმებას ეკონომიკური ეფექტურობა დაქირავებით დასაქმების ეფექტურობას რამდენიმეჯერ ჩამორჩება.

„დოვლათის შექმნის კუთხით, მილიონ თვითდასაქმებულს ჯობია, რომ 350-400 000 დაქირავებით დასაქმებული გვყავდეს. ესპანეთში, მაგალითად, უმუშევრობის მაჩვენებელი 27%-ია, ჩვენთან კი მხოლოდ 15%. ამის მიუხედავად, საქართველოდან ესპანეთში შრომითი მიგრანტები ყოველწლიურად მიდიან, ესპანეთიდან საქართველოში ჩამოსული კი, მონვეული არქიტექტორის გარდა, არავინ გვინახავს. ესპანეთში ორჯერ მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ჩვენთან, ეს მაჩვენებელი კი ყველაფერზე მეტყველებს.“

საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 38% მუშაობს დაქირავებით, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 70% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, ქვეყნის უმთავრეს პრობლემად კი უმუშევრობას ასახელებს. ჰანს გუტბორდი, რომელიც „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში“ 10 წლის განმავლობაში რეგიონულ დირექტორად მუშაობდა, „ლიბერალში“ გამოქვეყნებულ წერილში ამბობს, რომ უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკა სინამდვილისგან შორს დგას და რეალურად უმუშევრობა 30%-ს აჭარბებს.

საქართველოს მთავრობა სხვადასხვა დროს დასაქმების ხელშესაწყობად სხვადასხვა პრო-

ექტს ახორციელებდა, თუმცა ეს პროგრამები უმუშევრობის პრობლემის მასშტაბურ ხედვას არ ეფუძნებოდა და არც ეფექტურობით გამოირჩეოდა. 2006 წელს ვარდების რევოლუციით მოსულმა მთავრობამ შრომის პოლიტიკისადმი მემკვიდრეობით მიღებული მიდგომა შეცვალა, დასაქმების შესახებ კანონების დიდი ნაწილი და შრომის სახელმწიფო ინსპექცია გააუქმა და ახალი შრომის კოდექსი მიიღო. ცვლილებები დამსაქმებელთათვის და უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას ემსახურებოდა. 2007 წელს უცხოური ინვესტიციების რიცხვმა მართლაც იმატა, თუმცა უმუშევრობა მხოლოდ 0.3%-ით შემცირდა, მომდევნო წელს კი, პირიქით, 3%-ით გაიზარდა.

საქართველოს ეკონომიკაში უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვნი ადგილი უჭირავს, თუმცა, ექსპერტების შეფასებით, ინვესტიციების მოზიდვა უმუშევრობას ყოველთვის არ ამცირებს.

იაკობ მესხია ახალ ტექნოლოგიებსა და შრომის ავტომატიზაციაზე საუბრობს. მსხვილი ინვესტიციების და ახალი პროექტების შემთხვევაში, ადამიანის შრომას განვითარებული ტექნიკით ანაცვლებენ. მესხია ხაზს უსვამს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი სამუშაო ადგილებს მთელ მსოფლიოში ამცირებს. ამას გარდა, ასეთ ტექნოლოგიებთან სამუშაოდ შესაფერისი კვალიფიკაციის კადრებია საჭირო, რომელიც ქვეყნის შიგნით არ გვყავს და ამიტომ ინვესტორებს სამუშაო ძალაც სხვა ქვეყნიდან ჩამოჰყავთ.

სოსო არჩევადეს მიაჩნია, რომ ინვესტიციები უმუშევრობას იმ შემთხვევაში შეამცირებდა, თუ ქვეყანაში წარმოების სხვადასხვა დარგში შრომის მწარმოებლობა და შრომის შეიარაღება თანაბრად იქნებოდა განვითარებული. საქართველოს შემთხვევაში კი, როცა სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლობა საბანკო სფეროსას 20-ჯერ ჩამორჩება, დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება, ზოგად, კეთილდღეობის ზრდას ნაკლებად გულისხმობს, ეკონომიკის ზრდა კი უმუშევრობის შემცირებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას არ იწვევს.

ქვეყანაში, სადაც უმუშევრობა მასობრივია,

ცხადია, ეს პრობლემა პოლიტიკის დღის წესრიგსაც განსაზღვრავს. წლების განმავლობაში სააკაშვილის მთავრობა პროფესიული გადამზადების სხვადასხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამას ახორციელებდა. პროგრამების უმეტესობა წინასაარჩევნოდ ხორციელდებოდა და უმუშევრობის აღმოფხვრის სტრატეგიულ ხედვას არ ეფუძნებოდა. მაგალითად, 2007-2008 წლებში პრეზიდენტის ინიციატივით სახელმწიფომ დასაქმებისთვის 60 მილიონი ლარი გამოყო და 114 000 მოქალაქე გადაამზადა, თუმცა მათგან მხოლოდ 5 000 დასაქმდა. ამ და სხვა პროგრამებს წინ ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა არ უძღოდა, თავად პროგრამა კი ერთჯერადი იყო.

2012 წელს, ასევე წინასაარჩევნოდ, მთავრობამ დასაქმების სამინისტრო შექმნა, რომელსაც უმუშევართა ბაზა უნდა ჩამოეყალიბებინა და მოსახლეობის პროფესიული გადამზადებისთვის ეზრუნა. საქართველოს პროკურატურა ამჟამად უწყების მუშაობას იძიებს. პროკურატურის ბრალდებით, სახელმწიფო პროგრამას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული ინტერესებისთვის იყენებდა – სოციალური აგენტები, რომლებიც სახელმწიფომ უმუშევართა ბაზის შესაქმნელად დაიქირავა, სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა სიების შედგენით იყვნენ დაკავებული. ახალმა ხელისუფლებამ სამინისტრო გააუქმა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილ დეპარტამენტს დაევალა.

დეპარტამენტმა დასაქმების სფეროში სახელმწიფო სტრატეგია და 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა უკვე მოამზადა. გეგმა ჯერჯერობით სამუშაო ვერსია და საბოლოო ცვლილებებსა და მთავრობის მიერ დამტკიცებას ელოდება.

დასაქმების სტრატეგია, პირველ რიგში, უმუშევრობის ოფიციალურ მაჩვენებელს აყენებს ეჭვქვეშ და პრობლემის მასშტაბურობას აღიარებს. გეგმაში უმუშევრობის მიზეზებია გაანალიზებული.

დოკუმენტის მიხედვით, ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება აცდენილია. საბჭოთა ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადასვლის შემდეგ, წარმოების მთელი რიგი დარგები გაქრა და მრავალ პროფესიაზე მოთხოვნა აღარ არსებობს. ეს სტრუქტურული უმუშევრობის გაჩენის მიზეზად იქცა მაშინ, როცა წარმოების ახალ დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტია.

დოკუმენტის მიხედვით, შრომის ბაზარი უაღრესად შეზღუდულია. საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 38%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია. დაქირავებულთა 40% სახელმწიფო სექტორში მუშაობს. ბაზრის ინფრასტრუქტურა განუვითარებელია, შრომითი მობილობა და შრომის სტანდარტი – დაბალი: დასაქმებულთა ნაწილი საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს იღებს.

უმუშევრობის შესაფასებლად, პროცენტული მაჩვენებლის გარდა ხანგრძლივობასაც იყენებენ. საქართველოში უმუშევართა 2/3 ხანგრძლივად უმუშევარია. ასეთი ადამიანების შრომის ბაზარზე დაბრუნება კი განსაკუთრებულად რთულია. დოკუმენტის მიხედვით, პრობლემის მოგვარება მხოლოდ გადამზადების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებს შეუძლია.

სტრატეგიაში უმუშევრობის მიზეზებად სამუშაო ძალაზე შეზღუდული მოთხოვნა, სპეციალობით დასაქმების სირთულე, დასაქმების დისკრიმინაციული პოლიტიკა, შრომის დაბალი ანაზღაურება, პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი, სამუშაოს ძიების ჩვევების ნაკლებობა, დასაქმების სფეროში საშუალო სერვისების განუვითარებლობა და სხვა ფაქტორებია ჩამოთვლილი.

სტრატეგიის მიხედვით, უახლოეს მომავალში მთელი საქართველოს მასშტაბით დასაქმების სახელმწიფო ცენტრების ქსელი ჩამოყალიბდება. ეს ცენტრები მოსახლეობის ინფორმირებით და კონსულტაციების და შესაბამის ბაზაში სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციით იქნებიან დაკავებული. ამ ცენტრებშივე მოხდება მაძიებელთა რეზიუმეების მომზადება, ვაკანსიების მოძიება და დამსაქმებელთან საშუალო მომსახურება, დასაქმების რეგიონული ფორუმების ორგანიზება და ა.შ. ცენტრების მომსახურება მოსახლეობისთვის უფასო იქნება.

■ დოკუმენტის მიხედვით, შრომის ბაზარი უაღრესად შეზღუდულია. საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 38%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია. დაქირავებულთა 40% სახელმწიფო სექტორში მუშაობს. ბაზრის ინფრასტრუქტურა განუვითარებელია, შრომითი მობილობა და შრომის სტანდარტი – დაბალი: დასაქმებულთა ნაწილი საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს იღებს.



დოკუმენტი შრომის ბაზრის მასშტაბური კვლევის საჭიროებასაც აყენებს, მათ შორის სამუშაო ძალის ფასისა და სამუშაო ძალაზე დანახარჯების შესახებ ინფორმაციის საჭიროებას, რის შედეგადაც შრომის ბაზრის პროგნოზირება და პროფესიული პროგრამების შესაბამისად შემუშავება უნდა მოხდეს.

„კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ნაწილობრივ ავსებენ კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, თუმცა საქმიანობის პროფილის შედარებით ერთგვაროვნების გამო, შეზღუდულია მათ მიერ მომზადებული კადრების პროფესიული კვალიფიკაცია და დასაქმების შესაძლებლობები“, – ნერია სტრატეგიის დოკუმენტში. სტრატეგია პროფესიული კოლეჯების სასწავლო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას, პედაგოგების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი, ადეკვატური სასწავლო პროგრამების შემუშავებას ითვალისწინებს.


დოკუმენტში ყურადღება ლეგალური შრომითი მიგრაციის მხარდაჭერასა და ადამიანური რესურსების შრომის საერთაშორისო ბაზრის შესაბამისად განვითარებასაც ეთმობა. რაც შეეხება შიდა შრომით მიგრაციას, მაღალმთიანი და ზღვისპირა რეგიონებიდან მოსახლეობის გადინების თავიდან ასაცილებლად, რეგიონების მხარდაჭერის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება იგეგმება.

სტრატეგიის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი უახლოესი ორი წლის მანძილზე შეფასებულია, როგორც დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტების ამოქმედებისთვის საჭირო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და მეთოდური სისტემის შექმნა. „დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებში დარეგისტრირდება დაახლოებით 150-170 ათასი სამუშაოს მაძიებელი. მათგან ცენტრის საშუალოდ მომსახურებით დასაქმდება დაახლოებით 50-60 ათასი სამუშაოს მაძიებელი. „სამუშაო დოკუმენტის მიხედვით, 2013-14 წლებში 10 000-მდე უმუშევარი გაივლის პროფესიულ სწავლებას.

რამდენად რეალისტურია ეს ციფრები, ან რამდენად საკმარისია პროფესიული გადამზადების მოცემული ტემპი დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად, კითხვის ნიშნის ქვეშ

რჩება. სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში, პროფესიულ-ტექნიკური ხაზით, პროფესიულ გადამზადებას ყოველწლიურად 40-50 ათასი ადამიანი უნდა გადიოდეს, რომ ქვეყანამ კვალიფიციური კადრების დეფიციტი არ იგრძნოს. ამ პროცესში კი ორგანიზაციული თუ ფინანსური დახმარებით კერძო სექტორიც უნდა ჩაერთოს, რაკი მხოლოდ სახელმწიფო რესურსებით ამ მასშტაბის გადამზადების უზრუნველყოფა შეუძლებელია.

პროფესიული განათლების სფეროს ექსპერტი, თეა სიფრაშვილი „ლიბერალთან“ პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის გარდა თავად სასწავლებლების შეზღუდულ რაოდენობასა და კონტიგენტსა და ინსტიტუციურ პრობლემებზე საუბრობს. „სტანდარტების შემუშავება არ არის ერთჯერადი. ქვეყანა დღესაც იმ პრობლემის წინაშე დგას, რის წინშეც 2008 წელს იდგა – არ არსებობს პასუხისმგებელი ორგანო და ინსტიტუტი, რომელიც რეგულარულად განახლებს სტანდარტებს და ჩართული იქნება პროფესიული განათლების უწყვეტ ციკლში“, – ამბობს სიფრაშვილი. ის ხაზს უსვამს, რომ თუ პროფესიულ გადამზადებას სახელმწიფო უმუშევრობასთან ბრძოლის სტრატეგიად აღიარებს, მაშინ ამ თემაზე სამუშაოდ დიდი მატერიალური და ადამიანური რესურსი უნდა გამოიყოს.

იაკობ მესხია უმუშევრობის აღმოფხვრის ხანგრძლივ პროცესზე, მინიმუმ 15 წელზე საუბრობს, სადაც პროფესიული გადამზადება აუცილებლად გადასადგმელი პირველი ნაბიჯია. თუმცა სტაბილური, მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიკის განვითარების სხვა ეტაპებს უკავშირდება. „მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო ინოვაციების გარეშე ეკონომიკის სერიოზული ზრდა წარმოუდგენელია. თანამედროვე სამყაროში განვითარების მთავარი ფაქტორი სწორედ ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიებია, რამაც ჩვენ ძალიან ჩამორჩენილები ვართ. ახალი მთავრობის პროგრამაში ამ კუთხით ბევრი საინტერესო ხედვაა, მაგრამ რეალური ნაბიჯები, რამაც გრძელვადიან პერიოდში უნდა მოიტანოს შედეგი, ჯერჯერობით არ ყოფილა.“ – მიიჩნევს პროფესორი. 



**WWW.LIBERALI.GE**



# ჩანს "ბზიქანის" მოხატოხიში სასოფლო-სამაუხნო მინებზე?

სასოფლო-სამეურნეო მინების უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმი გამოცხადდა. ასეთივე მორატორიუმი აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. სავარაუდოდ, ეს საკანონმდებლო ცვლილება უცხოური ინვესტიციების საქართველოში შემოსვლას ხელს ვერ შეუშლის, რადგან სოფლის მეურნეობაში ისედაც ძალიან ცოტა ინვესტიცია შემოდის.

ანა ფირცხალაშვილი



2003-დან 2012 წლამდე განხორცილებული „ვარდების“ პოლიტიკა იმდროინდელი ეკონომიკური იდეოლოგიის ცნობილი ფრაზით – „რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით ნაკლები თავის ტკივილი გვექნება“, – იყო მოტივირებული. ამ მიზნის მიღწევას კი მაშინდელი ხელისუფლება ამავე იდეოლოგიის მიერ დანახული ყველაზე ეფექტური გზით აღწევდა. რადგან „საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა

კონკურენტუნარიანი. ამიტომ ფეხზე დავიკიდოთ, თუ გადარჩენა უნერია, თავისით გადარჩეს, თუ არადა დაილუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი – მეძავებად. ეს არაა ჩემი პრობლემა... მეჩაიობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად „გაიბერა“





(ნათია გოგიტიძე, „ქართული სიტყვა“, 2013-03-21. კახა ბენდუქიძე: „სოფელში მცხოვრები მამაკაცები წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი, – მეძავებად!“)

ხელისუფლება არათუ სუბსიდებს გასცემდა სოფლის მეურნეობის სფეროში, არამედ პირიქით სტატისტიკის დონეზეც კი არ აღწუსსავდა მიწების კატეგორიებს, გასხვისებულ თუ დანიშნულებაშეცვლილ მიწებს. მან გამო-

ზნულად გააუქმა მიწის მართვის ყოველგვარი სტრუქტურა და საშუალება. ამ „შეუწყნარებელი“ ეკონომიკური პოლიტიკის მოსავალს კი დღეს ვიმკით.

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის 16 მაისის საკომიტეტო სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რეკომენდაციით მიემართათ მთავრობისთვის, რათა ის მორატორიუმის ინიციატივით შესულიყო პარლამენტში. რამდენიმე დღეში კი თვით აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დააყენა საკანონმდებლო ინიციატივა სასოფლო-სამეურნეო მიწების მორატორიუმის შესახებ. ეს ინიციატივა ითვალისწინებს საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. კონკრეტულად კი კანონპროექტის 22-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა შეჩერდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე. აღნიშნული კანონპროექტით საქართველოს მთავრობამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. მიწის მონყობისა და მიწის კადასტრის ერთიანი რეგულირების მონესრიგება, რათა სრულყოფილი გახდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ერთიანი საკადასტრო მონაცემები.“

ასეთი მორატორიუმი გამოცხადებულია აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. როგორცაა მაგალითად ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი რუმინეთი. ამ ქვეყნებმა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურად დაანესეს ვადები, ზოგიერთმა 7 წელი მაგალითად: ჩეხეთმა, ესტონეთმა უნგრეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, სლოვაკეთმა. ხოლო ყველაზე ხანგრძლივი ვადა – 12 წელი პოლონეთმა დაანესა. ევროკავშირში განევრიანებასთან ერთად ეს ქვეყნები ვალდებული იქნებიან ევროკავშირის მოქალაქეებს ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა

■ კანონპროექტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა შეჩერდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე. აღნიშნული კანონპროექტით საქართველოს მთავრობამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. მიწის მონყობისა და მიწის კადასტრის ერთიანი რეგულირების მონესრიგება, რათა სრულყოფილი გახდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ერთიანი საკადასტრო მონაცემები.“

სახელმწიფო რესურსზე. თუმცა განვერია-  
ნებასთან ერთად (ევროკავშირის) უცხოელ-  
თა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის  
საკითხი ყოველთვის მოლაპარაკებათა საგა-  
ნი ხდება. ევროკავშირი ითვალისწინებს, რომ  
ახალი წვერი სახელმწიფოების მოქალაქეები  
(კონკრეტულად კი მეურნეები), როგორც წესი,  
ფინანსური თვალსაზრისით არ არიან ევროკა-  
ვშირის ძველი ქვეყნების მეურნეთა თანაბარ-  
ნი. ამიტომაც ისინი თანხმდებიან იმაზე, რომ  
ევროკავშირის ახალმა ქვეყნებმა გამოაცხა-  
დონ მორატორიუმი, ანუ გარკვეული დროით  
შეაჩერონ მიწების გასხვისება (ევროკავშირის)  
უცხოელებზე.

დავა იმის შესახებ, რომ მორატორიუმმა შე-  
საძლოა უცხოური ინვესტიციების საქართვე-  
ლოში შემოდინება შეაჩეროს, მხოლოდ მითია,  
რომელიც შემდეგი სტატისტიკით ბათილდება:  
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახ-  
ურის ინფორმაციით ბოლო 3 წლის მანძილზე  
საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტი-  
ციების მხოლოდ 3% მოდის სოფლის მეურნეო-  
ბაზე. ეს კი შეადგენს მხოლოდ 95 მილიონ აშშ  
დოლარს 3 წლის განმავლობაში. საყურადღე-  
ბოა, რომ ეს ოდენობა მოიცავს უცხოელებზე  
გაყიდული მიწის ფასს. ეს ნაწილი კი, როგორც  
წესი, ინვესტიციად არ შეიძლება ჩაითვალოს.  
აქედან გამომდინარე სასოფლო სამეურნეო  
სექტორში უცხოური ინვესტიციების მაქსიმუმ  
1.5 -2 % მოდის. აშკარაა, რომ ეს შემოსავალი  
არ ღირს იმად, რომ საქართველოში არსებული  
სასოფლო-სამეურნეო მიწები შეუზღუდავად  
იყოს გასხვისებული უცხოელებზე. მეორეც ამ  
სფეროში უცხოელს – რა თქმა უნდა, დარჩება  
საშუალება, რომ მან გრძელვადიანი იჯარით  
ისარგებლოს და შესაბამისად ინვესტირება გა-  
ნახორციელოს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ,  
რომ აქამდე შეჩერებული იყო კანონი იჯარის  
შესახებ. მას მინით სარგებლობა და ინვეს-  
ტირება რომ მონდომებოდა, მხოლოდ მიწის  
შეძენით შეეძლო მისი განხორციელება. „იჯა-  
რის შესახებ“ კანონის ამოქმედება გამოიწვევს  
იმას, რომ ინვესტიციის მსურველთა კონტინ-  
გენტი გრძელვადიანი იჯარით ისარგებლებს.  
ამ არგუმენტებიდან გამომდინარე არ არსე-  
ბობს იმის საშიშროება, რომ საქართველოში  
მორატორიუმის შედეგად შეიძლება შეწყდეს

ამ სექტორში (თუნდაც მინიმალურ) ინვესტი-  
ციათა შემოსვლა.

თუმცა ეს საკანონმდებლო ინიციატივა რა-  
მდენიმე კითხვასაც ტოვებს. რას აპირებს ხე-  
ლისუფლება მორატორიუმის ვადის გასვლის,  
2017 წლის 1 იანვრის შემდეგ? მართალია,  
ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, მაგრამ  
კანონპროქტით შეთავაზებული ინიციატივით  
რჩება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელი  
2017 წლიდან სასოფლო-სამეურნეო მიწათა  
შეძენის სრულ ლიბერალიზაციას აპირებს.  
ამის საფუძველს იძლევა ის, რომ კანონის მე-4  
მუხლის რედაქციას (რომელიც 2017 წლის შე-  
მდეგ ამოქმედდება) ინიციატორები ამატებენ  
უცხო ქვეყნის ოურიდიულ პირებს, რაც აქამდე  
ამ კანონში არ არსებობდა. თუმცა შესაძლოა  
ასევე ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი 2017  
წლამდე შეგნებულად ღიად ტოვებს უცხოელე-  
ბზე გასხვისების საკითხს, და არ გამორიცხავს  
რომ მე-4 მუხლში ამოქმედებამდე რაიმე შე-  
ზღუდვებიც შევიდეს.

თუკი ვთანხმდებით იმაზე, რომ უპატრონოდ  
მიტოვებულ სოფელს მხარში დგომა, შველა  
და განკურნება სჭირდება, სანამ ამისათვის  
კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯე-  
ბი გადაიდგმება, უნდა გავიკვებ რეალურად  
რა მდგომარეობაშია იგი. ზუსტი დიაგნოზის  
გარეშე თითქმის შეუძლებელია მისი შველა.  
სწორედ დიაგნოსტიკის, კვლევის პერიოდია  
მორატორიუმის მოქმედების დრო. ამ დასკე-  
ნის გაკეთების საშუალებას იძლევა ისიც, რომ  
საკანონმდებლო ინიციატივაში განსაზღვრუ-  
ლია საქართველოს მთავრობისთვის მიცემუ-  
ლი დრო – 6 თვე, რომლის განმავლობაშიც  
მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს სასო-  
ფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ  
ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, კადასტრისა  
და მინათმონყობის ერთიანი სისტემის შექმნა  
და მოანერგოს მიწის ნაკვეთების ერთიანი  
მონაცემები.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლე-  
მური საკითხებისა, მორატორიუმის ინიციატი-  
ვას მთლიანობაში დადებითი შეფასება უნდა  
მიეცეს. ინიციატორები ხედავენ და ითავისებენ  
არსებულ პრობლემებს და ცდილობენ მათ გა-  
დაჭრას. ასეთი მცდელობა კი აუცილებლად  
პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. **□**

■ დავა იმის შესახებ, რომ  
მორატორიუმმა შესაძლოა  
უცხოური ინვესტიციების  
საქართველოში შემოდი-  
ნება შეაჩეროს, მხოლოდ  
მითია, რომელიც შემდეგი  
სტატისტიკით ბათილდება:  
საქართველოს სტატისტი-  
კის ეროვნული სამსახურის  
ინფორმაციით ბოლო 3  
წლის მანძილზე საქართვე-  
ლოში შემოსული უცხოური  
ინვესტიციების მხოლოდ  
3% მოდის სოფლის მეურ-  
ნეობაზე. ეს კი შეადგენს  
მხოლოდ 95 მილიონ აშშ  
დოლარს 3 წლის განმა-  
ვლობაში.

# იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისთვის ხაშვალაშვილს გაძლევთ მარტივად იკითხოთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოტანებად, თქვენი მონეტარიზაციისთვის iTunes-ზე მოძიებეთ „IOTA READER“








„მე მირჩევნია უნივერსიტეტმა არასწორად აირჩიოს რექტორი, ვიდრე ვინმემ – პრეზიდენტმა, პრემიერმა, სულერთია ვინ, დაუნიშნოს რექტორი“.

**პარლამენტის წევრი, ლევან ბერძენიშვილი.**



„კანონმა მოსამართლებს თავისუფალი არჩევნის უფლება მიანიჭა, ის მაინც იმ მიფრინველს ჰგავს, რომელიც წლების განმავლობაში გალიაში იჯდა, ახლა გაუღეს დახურული კარი და მაინც არ მიფრინავს. მათ ურჩევნიათ, რომ ვილაცის დადგენილი წესრიგით იმოქმედონ, ეს არაჯანსაღი დამოკიდებულებაა“.

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, კახა კოჟორიძე**



„წინა წლებში არსებული სისტემა, რა თქმა უნდა, არ იყო სრულყოფილი და მას ჰქონდა ბევრი ხარვეზი, მაგრამ ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში იყო უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა, თავისუფალი კონკურენცია, უნივერსიტეტებში ხარისხის გაზრდა, ქართველი სტუდენტების კონკურენტუნარიანობისთვის საერთაშორისო ცოდნის ბაზარზე ახალი სტანდარტების შექმნა. თუ ჩვენ იმ სახით მივიღებთ ცვლილებებს, რომლითაც არის, საქართველო დაბრუნდება 10-15-20 წლით უკან, 90-იან წლებში“.

**საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი**



„თუ არსებობს რაღაც აზრი, ნებისმიერ დროს მზად ვართ, ეს აზრი მოვისმინოთ, როგორც უმრავლესობისგან, ასევე უმცირესობისგან, მაგრამ აზრს უნდა ახასიათებდეს აზრი და აზრი არ შეიძლება იყოს ემოცია. ნებისმიერი აზრის მოსმენა ჩემთვის საინტერესოა, მაგრამ ისტერიის მოსმენა ცოტა ძნელია“.

**განათლების მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი**



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**ნიუსი და ინფორმაცია**

[www.tv9.ge](http://www.tv9.ge)